# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გაჩენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


შაბათი, 5 აგვისტო. 2017 წ. №157-158 (8294-8295), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.




## პენსის თბილისში ნათქვამი ⑥ ტრამპს ემცხეთა!

**ნინო ბურჯანაძე:** ③



## საქართველოს ხელმძღვანელობამ ისტორიული შანსი ხელიდან გაუშვა

## ავღანეთში დაღუპული ქართველი სამხედროს გამო პრეზიდენტი, პრემიერი და თავდაცვის მინისტრი მწუხარებას გამოთქვამენ

საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და თავდაცვის მინსიტრი ავღანეთში დაღუპული ქართველი სამხედროს მდინარი ბებიაშვილის დაღუპვის გამო მწუხარებას გამოთქვამენ.

**— უდიდეს მწუხარებას გამოვთქვამთ ავღანეთში ერთობლივი პატრულირებისას მომხდარი თავდასხმის დროს ჩვენი ქართველი მეომრის, „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში მონაწილე საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის 23-ე ქვეითი ბატალიონის უმცროსი სერჟანტის მდინარი ბებიაშვილის დაღუპვის გამო. ვიზიარებთ მისი ოჯახისა და ახლობლების უდიდეს ტკივილს. ეს საქართველოს, თითოეული ჩვენგანის ტკივილია, რომელსაც ვერაფერი გაანელებს,** — ნათქვამია სამძიმრის განცხადებებში.

ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში, ბაგრამის საავიაციო ბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთობლივი მოტორიზებული პატრულირებისას განხორციელებული თავდასხმისას, „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში მონაწილე საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის 23-ე ქვეითი ბატალიონის უმცროსი სერჟანტი, 25 წლის **მდინარი ბებიაშვილი** გარდაიცვალა.

თავდასხმისას ასევე დაშავდა ჩვენი სამი ჯარისკაცი — კაპიტანი მიხეილ გვირჯიშვილი, უფროსი ლეიტენანტი გიგა ხახუტაშვილი და კაპრალი გელა ხარშილაძე, რომლებსაც მკურნალობა უტარდებათ.

## აფეთქებების სერია აფხაზეთში ⑤

## ტექნიკა, რომელიც საქართველოში სიღარიბისა და ანექსიის ტოლფასი გარემოებების შემქმნელია!!! ⑤

## საქართველოში პირველად, ზაზა ფაჩულია NBA-ს ჩემპიონთა თასს ჩამოიტანს



**ზაზა ფაჩულია პირველი ქართველი კალათბურთელია, რომელიც წელს NBA-ს ჩემპიონი გახდა. მისმა გუნდმა „Golden State Warriors“ ჩემპიონატის ფინალური სერიის მეხუთე მატჩში „Cleveland Cavaliers“ ანგარიშით 129:120 დაამარცხა, სერია 4:1 მოიგო და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.**

6 აგვისტოს ზაზა ფაჩულია NBA-ს ჩემპიონთა თასს, ტრადიციული ტროფი ტურის ფარგლებში, საქართველოში ჩამოიტანს და აეროპორტში გულშემატკივრებს შეხვდება. ტურის განმავლობაში გულშემატკივრებს საშუალება ექნებათ ქართველი კალათბურთელი და ცნობილი ლარი ობრაიენის სახელობის თასი ნახონ და მასთან ფოტოები გადაიღონ.

საქართველოში ვიზიტის ფარგლებში ზაზა ფაჩულიას ერთ-ერთი მასპინძელი თიბისი ბანკია. ქართველი კალათბურთელი პროექტების „სტარტაპერის“ და „ბიზნესდაჯილდოების“ მონაწილეებს შეხვდება და მათ საკუთარი წარმატების ისტორიას გაუზიარებს.



## ნიკოლოზ დერიუგინი – ⑧ ფინტების დიდოსტატი

## გონიერთა მოსწრებული სიტყვა

**საფრანგეთის აკადემიაში ლიტერატურაზე ისმენდნენ ლექციას:**

**— ფრანგული ენის დაკნინება 1769 წელს დაიწყო, — თქვა ერთ-ერთმა ძველმა მეცნიერმა.**

**— იქნებ ისიც გვიბრძანოთ, ჩემო ბატონო, კერძოდ, რომელ საათზე? — ჰკითხა ჰიუგომ.**

* * *

**— ერთხელ მარკ ტვენს გაზეთის რედაქტორობისას ფოსტამ მკითხველის წერილი მიუტანა. წერილს თან ახლდა ყოვლად უწიგნურად დაწერილი ლექსი, რომელსაც ერქვა: „რატომ ვარ ცოცხალი?“**

**მარკ ტვენმა ასეთი პასუხი დაუბეჭდა გაზეთში: „იმიტომ, რომ თქვენ პირადად არ მოიტანეთ რედაქციაში ეს ლექსიო“.**

* * *

**— ერთხელ ბერნარდ შოუს ჰკითხეს: „ვისთვის უფრო უპრიანი იქნება შენი წარუმატებელი ამბების მოყოლა მეგობრებისთვის თუ მტრებისთვისო“.**

**შოუმ უპასუხა:**

**— შენი ხელმოცარულობისა და წარუმატებლობის მოყოლა მეგობრებისთვის არ ივარგებს. ბევრად უმჯობესია, თუ მტრებს მოუყვებით. ჯერ ერთი, კარგა გვარიანად ასიამოვნებთ, მეორეც, დარწმუნებული იყავი, რომ ბოლომდე მოგისმენენო;**

* * *

**მარკ ტვენი ავად გახდა, ექიმმა მკაცრი დიეტა გამოუწერა.**

**— ერთი ჭიქა რძე და ერთიც ორცხობილა, მთელი დღე მხოლოდ ეს უნდა იკმაროთო.**

**— რატომ ასე ცოტა, პატივცემულო ექიმო? — წინააღმდეგობის გაწევა სცადა მწერალმა.**

**— მეტი არ შეიძლება, თქვენ დიეტაზე ხართ.**

**— თუ ასეა, მაშ, აბა, იქნებ ერთი საფოსტო მარკაც დამიმატოთ. დამღამობით ცოტ-ცოტას წავიკითხავ ხოლმეო.**

* * *

**რა არის სამიკიტნო? — ჰკითხეს ტრისტან ბერნარდს.**

**— სამიკიტნო ეს ისეთი ადგილია, — უპასუხა მან, — სადაც კაცები ყოველდღე დადიან ცხოვრებაში უკანასკნელადო.**

* * *

**ფრანგ კომედიოგრაფ აშარს ჰკითხეს:**

**— რა არის სიყვარული და რა არის ცოლქმრობაო.**

**— სიყვარული ცხოვრების შუქიაო, — მიუგო აშარმა, — და დასძინა: — ხოლო ცოლქმრობა ამ შუქის გადასახადიაო.**



უსიტყვოდ

◉ ვეტო — პრეზიდენტის „ნაფილოსოფოსარს“

# პრეზიდენტმა ისევ ატლინკა,
## ანუ ამჯერად ლენინი ბრეჟნევში აერია

მარქსიზმთან მწყრალად მყოფ ფილოსოფოსს ეს არცთუ მაინცადამაინც დიდ არცოდნად თუ დიდ ცოდვად არ უნდა ჩაეთვალოს, თუ, რასაკვირველია, ერთი დაბალხელფასიანი საცოდავი ლექტორი ხარ და დიდი-დიდი ოცკაციან აუდიტორიას ეფილოსოფოსები. მაგრამ, როცა შენი ქვეყნის პირველ პირად ითვლები და შენი უღელტოლიც ქვეყნის პირველ ლედად გვაცნობს თავს, მარტო, ცოტა არ იყოს, იდეოლოგიურ-პოლიტიკურად მიკერძოებულად მორყეული აპარატის, ანუ აბაშიშვილის, ჩიხრაძის, ფხალაძის, კოჟორიძის, დოლიძისა და მიშველაძის იმედად ყოფნა, სხვა რომ არა იყოს რა, გარკვეულწილად საშიშიც არის, ემანდ, საბედისწერო პოლიტიკური ავარიის მსხვერპლი არ გახდე. პოლიტიკური ავარია კი, მოგეხსენებათ, არც როდის კარგად არ მთავრდება. თუ „თანამდებობრივ დასახიჩრებას“ გადაურჩი, დაცინვა და გამასხარავება ეგრევე ზედა გაქვს.

მარგველაშვილი რომ „ოცნებასთან“ ვერა სძოვს, ცნობილი ამბავია, მაგრამ ძოვას ვინ ჩივის, ახლა გაკომუნისტურებასაც აბრალებს, როგორც ბრეჟნევი ამბობდა, კომუნისტური პარტია ჩვენი ეპოქის გონება, სინდისი და პატიოსნებააო, ამ მავნე იდეოლოგიას ახორციელებს „ქართული ოცნებაცო“. აი, სწორედ ასეთი ალოგიკური ლოგიკით გამხიარულებულ ჩვენს ძველებს ზედგამოჭრილად უთქვამთ: აგანგალა-განგალაო!..




თუმცა, მარტო „ქართული ოცნების“ გაკომუნისტურობით არ კმაყოფილდება ჩვენი აგანგალა-განგალა ვეტო პრეზიდენტი. აგერ ახლა, მაიკლ პენსის პირით შეუთვალა ტრამპს, ჩვეულებისამებრ, მთავრობასთან და პარლამენტთან შეუთანხმებლად, საქართველოში მალე შენი პირადი წარმომადგენელი დანიშნეო. ეს რომ იან კელის, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიან ელჩს გაუგია, როგორც ამბობენ, ჩვენი გავეტოებული პრეზიდენტისთვის უკითხავს, ტრამპისადმი შენი ასეთი კერძო „ფილოსოფიური“ მიმართვით ან მე ვისი ტიკი-ტომარა გამოვდივარ, ან შენაო.

ამ საკითხზე მიშველაძის ქალს პრეზიდენტის აზრი „ცრუსთავი-2“-ის ეკრანიდან ჯერ არ გაუხმაურებია, როგორც ჩანს, პრეზიდენტს არასამთავრობოებთან და ოპოზიციასთან ჯერ „კონსილიუმი“ არ გაუმართავს. ჩვენც დავიცადოთ, რა გვეჩქარება?!

სულაც არ გამიკვირდება, თუ თავისი აპარატის ფონზე მალე ვიხილავთ პრეზიდენტ მარგველაშვილს ლენინთან და ბრეჟნევთან ერთად პორტრეტად გამოხატულს ამჯერად არც ერთი ქვეყნის მოქალაქე მიშა-მიხაილის მიერ აგებულ სასახლეზე... და არც იმას გამოვრიცხავ, რომ ერთ არამშვენიერ დღეს ამ ჩვენს მეოთხე პრეზიდენტს პლასტილინის გული აუჩქროლდეს და მესამე ცოდვილ პრეზიდენტს საქართველოს „წართმეული“ მოქალაქეობა დაუბრუნოს.

აი, თქვენ მერე ნახეთ, რა მარგველაშვილურ-სააკაშვილური პოლიტიკური ოთურმა გაიმართოს ამ ჩვენი ღრმად მეოცნებე მთავრობის ხელში!

**გურამ წიკლაური**




## ნაცები ახალ კამპანიას – „ველარ გააყალბებ“ იწყებენ!

**როგორც პარტიიდან გვაცნობეს, გაყალბების საწინააღმდეგო შტაბის მიზანია წინასაარჩევნო პერიოდში არსებული დარღვევებისა და ძალადობის ფაქტების შესწავლა; გასული წლის საპარლამენტო არჩევნების დროს მომხდარი უკანონობისა და განუკითხაობის განმეორების საშიშროების აღმოფხვრა.**

კამპანია „ველარ გააყალბებ“ შტაბს ლევან ბეჟაშვილი და ზაზა ბიბილაშვილი უხელმძღვანელებენ.

**„დღეს ჩვენ ვქმნით გაყალბების საწინააღმდეგო შტაბს და ვიწყებთ აქტიურ კამპანიას, რათა არ დავუშვათ ივანიშვილის მიერ არჩევნების მორიგი გაყალბება.**

**გაყალბების საწინააღმდეგო შტაბის მიზანია, არ დაუშვას იმ უკანონობისა და განუკითხაობის განმეორება, რომელიც ყველა ჩვენგანმა იხილა შარშანდელი საპარლამენტო არჩევნების დროს, როდესაც ივანიშვილმა უკონტროლო შავი ფულით, ამომრჩევლის მოსყიდვით, ადმინისტრაციული რესურსის ტოტალური მობილიზებით, სუსის საარჩევნო პროცესებში ჩართვითა და ხელისუფლებასთან სინქრონში მოქმედი ორგანიზებული კრიმინალური სამყაროს დახმარებით შეძლო საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება, რომელსაც ის საკუთარი კლანის ინტერესებისთვის იყენებს“,** — აცხადებენ ნაციონალები.

## მივმართავ ზალიკოს, ელენეს და ალეკოს - გავერთიანდეთ!



**მივმართავ ზალიკოსაც, მივმართავ ელენესაც, მივმართავ ალეკოსაც, სამივე ღირსეული ადამიანია, გავერთიანდეთ, გამოვავლინოთ, ვინ არის ყველაზე ძლიერი კანდიდატი და ასეთ შემთხვევაში ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ არჩევნებში. ალბათ, ჩვენც გვეყოლება კანდიდატი,** — ამის შესახებ „ახალი საქართველოს“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სადაც ოთხმა ოპოზიციურმა პარტიამ „ახალი საქართველო“, „ახალი ერთობა საქართველოსთვის“, „ევროპელი დემოკრატები“ და „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის“ გაერთიანების გადაწყვეტილება მიიღო.

ვაშაძემ პროდასავლურ ოპოზიცური პოლიტიკურ ძალებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საზოგადოების აქტიურ წევრებს გაერთიანებისა და პრაიმერის გზით მერობისა და საკრებულოს საერთო კანდიდატების არჩევისკენ მოუწოდა.

## თბილისის მერობის კიდევ ერთი კანდიდატი – თენგიზ შერგელაშვილი



**მისი წარდგენის ღონისძიება გუშინ ჯანსულ კახიძის სახელობის სკვერში გაიმართა.**

თენგიზ შერგელაშვილი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე იყო. მის სახელს უკავშირდება თვითმმართველობის რეფორმა, რომელიც 2013-2014 წლებში „ქართული ოცნების“ კოალიციურმა ხელისუფლებამ განახორციელა.

## არის კბილები, რომლებიც დიდი ხანია, მოვიცვალეთ პოლიტიკაში!

„შენების მოძრაობის“ ლიდერის დავით უსუფაშვილის განცხადებით, მოძრაობა არ მიიღებს გიორგი ვაშაძის შეთავაზებას თვითმმართველობის არჩევნებზე ოპოზიციური პარტიების გაერთიანების შესახებ.



**„არის კბილები, რომლებიც დიდი ხანია, მოვიცვალეთ პოლიტიკაში“,** — დასძინა უსუფაშვილმა. „შენების მოძრაობის“ მერობის კანდიდატის თენგიზ შერგელაშვილის თქმით კი, მათი პარტია არის განსხვავებული და შესაბამისად, არ აპირებს რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან გაერთიანებას.

## მცოცავი ოკუპაცია არასწორია!.

ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო მიიჩნევს, რომ საოკუპაციო ზოლების გადმოწევა არ ხდება და ახალი ბანერების დამონტაჟება ოკუპანტების მხრიდან დაკავშირებულია 2008 წლის აგვისტოს ომთან, რომლის დროსაც, მისი თქმით, მაშინდელმა ხელისუფლებამ რუსეთს საზღვრის გადმოწევის ლეგიტიმაცია მისცა.

**„ძალიან ხშირად, სამწუხაროდ, ამ ქმედებების აღწერისას გამოიყენება ტერმინი მცოცავი ოკუპაცია, რომელიც თავის საფუძვლით არ არის სწორი. ეს არანაირი მცოცავი და ეტაპობრივი არ არის, ეს არის, სამწუხაროდ, იმ ფარგლების, იმ საზღვრების დადგენა, რომელსაც 2008 წელს, ძალიან სამწუხაროდ, ლეგიტიმაცია გაუკეთა მაშინდელმა მთავრობამ. არანაირი ახალ საზღვრებზე გადმოწევა არ ხდება“,** — აცხადებს დავით სერგეენკო.



რედაქციისგან: მინისტრის ამ გამონათქვამს ჩასაფრებული ოპოზიციონერების სულელური შეფასებები მოჰყვა, იმდენად სულელური, რომ მათი გამოქვეყნება საჭიროდ არ ჩავთვალეთ!

## სააკაშვილის გრძელვადიანი პერსპექტივები დიდად სახარბიელო არ არის!

**მიხეილ სააკაშვილის გრძელვადიანი პერსპექტივები დიდად სახარბიელო არაა,** — ამის შესახებ პოლიტოლოგი გია ნოდია Facebook-ის პირად გვერდზე წერს. მისი თქმით, ზღაპარია, რომ მიშა უკრაინაში დაბრუნდება.

**„პოროშენკომ ერთი მხრივ კარგი გაუკეთა სააკაშვილს: თავი შეირცხვინა და ის მორალურ პიედესტალზე დააყენა. ყველა შეფასებით, სააკაშვილის კარიერა უკრაინაში უპერსპექტივო იყო, მის პარტიას 2-პროცენტიანი რეიტინგი ჰქონდა, ბევრი თავდაპირველი მოკავშირე გადაიკიდა. პოროშენკოს უგვანო ნაბიჯმა კი დაადასტურა, რომ სააკაშვილი თურმე მნიშვნელოვანი ფიგურა და მისი განსაკუთრებით სახიფათო მოწინააღმდეგე ყოფილა. ზღაპარია, რომ მიშა უკრაინაში დაბრუნდება, მაგრამ თამაშიდან ღირსეული გასვლის საშუალება კი მიეცა. პოროშენკომ სახე დაკარგა, მიშამ კი შეინარჩუნა. თუმცა მისი გრძელვადიანი პერსპექტივები დიდად სახარბიელო არაა“,** — აღნიშნავს გია ნოდია.

## ცხინვალი დროებით საზღვარს კეტავს




**აგვისტოს მოვლენების მე-9 წლისთავთან დაკავშირებით ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება საქართველოსთან საზღვარს კეტავს.** საზღვრები 6 აგვისტოს 20 საათიდან ჩაიკეტება და 9 აგვისტოს, დილის 7 საათიდან გაიხსნება.

## დეკანოზი ჩვენებას არ შეცვლის...ის იქნება ნათქვამი, რაც სიმართლეა!

**ე.წ. ციანიდის საქმეზე დეკანოზი მამა გიორგი მამალაძე იკითხება.** მამა გიორგი მამალაძის ადვოკატის მიხეილ რამიშვილის თქმით კი, მამა გიორგი ჩვენებას ვერ შეცვლის და ის იტყვის მხოლოდ იმას, რაც არის სიმართლე.

**„თავიდანვე ვიძახდი, რომ წინასწარ გამოძიებაში მამა გიორგიმ მისცა ისეთი ჩვენება, რომელიც ნორმალური და ობიექტური გამოძიების შემთხვევაში ის საფუძველი ექნებოდა, რომ საქმე შეწყვეტილიყო. მესმის, რომ ხელმეორედ ცდილობენ, რომ ვითომდა შეცვალოს, მაგრამ რა უნდა შეცვალოს? ის იქნება ნათქვამი, რაც არის სიმართლე და ზუსტად ამ ჩვენებით დადასტურდება, რომ არანაირი მკვლელობის მომზადებას ადგილი არ ჰქონია, ვერც ექნებოდა და ეს არის არარსებული. შეიძლება, ეს არის პირდაპირ მიზანმიმართული არა მარტო მამა გიორგის წინააღმდეგ, არამედ ეკლესიის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, არ მიკვირს პროკურორის პოზიცია, რომ ვითომდა კიდევ უნდა შეცვალოს,“** — აღნიშნა რამიშვილმა.

## ნინო ბურჯანაძე:

# საქართველოს ხელმძღვანელობამ ისტორიული შანსი ხელიდან გაუშვა




**საქართველოში ნატო მსხვილმასშტაბიან სამხედრო სწავლებებს „ღირსეულ პარტნიორ-2017"-ს ატარებს. რუსეთი მძიმე ტექნიკის კონცენტრირებას ახდენს, სამხრეთ ოსეთში კი რუსეთის ჯარები ლოკალური მანევრებით არიან დაკავებული. თბილისს ამ დღეებში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი სტუმრობდა, სოხუმში კი რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ჩადის. გამოდის, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ისევ სახიფათო ზღვარზეა? სიტუაციის მიმართ საკუთარი ფრთხილი მიდგომითა და ხედვებით „Независимая газета"-ს მიმომხილველ იური სიმონიანს ესაუბრება „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" ლიდერი, პარლამენტის ექსსპიკერი, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი 2007-2008 წლებში ნინო ბურჯანაძე.**

„დღეს სიტუაცია რთულია როგორც საერთაშორისო არენაზე, ისე საქართველოსთვისაც. ჩვენ ყველა ახალი ცივი ომის ეპოქისკენ მივექანებით. ყველა გონიერ ადამიანს, მით უმეტეს პოლიტიკოსს, ეს საკითხი უნდა აღელვებდეს.. რასაკვირველია, არსებობდა იმედები რუსეთსა და აშშ-ის შორის ურთიერთობის გაუმჯობესებაზე, მაგრამ ახლა დიდი შეშფოთებით ვუყურებ იმ ანტირუსულ ისტერიას, რომელიც გონივრულობის ჩარჩოებს სცილდება და შეიძლება ყველასათვის ნეგატიური შედგების მომტანი გახდეს, მათ შორის ჩემი ქვეყნისთვისაც"...

**— ქალბატონო ნინო სწორედ თბილისში ყოფნისას დააანონსა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა მაიკ პენსმა, რომ პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ხელს მოაწერს კონგრესის მიერ მიღებულ კანონს ანტირუსული სანქციების თაობაზეო. იმავდროულად კრემლი აცხადებს, რომ მზადდება ვლადიმერ პუტინის ვიზიტი აფხაზეთში...**

— აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის თბილისში ვიზიტს მე დადებითად აღვიქვამდი, მისი ჩამოსვლა ნატოს სამხედრო სწავლებებს რომ არ უკავშირდებოდეს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე დემონსტრაციულად და პროვოკაციულად ტარდება. რასაკვირველია, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის განცხადება იმაზე, რომ ვაშინგტონი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ სხვა საქმეა, თუ რას გააკეთებს პრაქტიკულად აშშ ან სხვა სახელმწიფო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად? ილუზიები, რომლებიც ბევრს აქვს საქართველოში აშშ-ის მიმართ, ჩვენი ქვეყნის ინტერესებს ზიანს აყენებს. მე თავიდანვე ვამბობდი, თუ რა უნდა გაეკეთებინა საქართველოს ხელისუფლებას: პირველ რიგში, თავი უნდა შეეკავებინა იმ პროვოკაციული მოქმედებისგან, რომელიც ნატოს სწავლების ჩატარებაა. როცა 500 მეტრში რუსეთის სამხედრო ბაზები არიან განთავსებული, სამწუხაროდ, საქართველოს ტერიტორიაზე, ამ დროს კი გზაზე გრუხუნით მიდიან აშშ-ის ტანკები ამერიკისავე დროშით, ეს, ცხადია, რუსეთის გამოწვევაა. ვერაფერს კარგს ამაში ვერ ვხედავ. დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის მხრიდან პასუხი იქნება. რასაკვირველია, ძალიან საწყენია ის ინფორმაცია, რომ ვლადიმერ პუტინი სოხუმში ჩასასვლელად ემზადება. რა თქმა უნდა, პირადად ჩემთვის ეს ძალიან მტკივნეულია და მინდოდა, ისეთი ურთიერთობა გვქონოდა, რომ ვლადიმერ პუტინი ჯერ ერთიან, მთლიან საქართველოში, თბილისში ჩამოსულიყო, შემდეგ კი საქართველოს შემადგენლობაში არსებულ სოხუმსა და ცხინვალში, ყველა სხვა ადგილზე, მაგრამ არა იმ სოხუმსა და ცხინვალში, რომლებიც საქართველოსაგან გამოყოფილი არიან. საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდა უნიკალური შანსი, არ დაეშვა ასეთი მომენტები, ჰქონდა შანსი იმისა, რომ რუსეთთან ურთიერთობები გაეუმჯობესებინა. მაგრამ დღევანდელმა ხელმძღვანელობამ, ეშინია რა იმისა, რომ ვაითუ ამერიკელი პატრონი გაგვიბრაზდესო, ასეთი შანსი ხელიდან გაუშვა. მშვენივრად მახსოვს ვლადიმერ პუტინის განცხადება და მან ეს სამჯერ გაიმეორა, რომ იგი მზადაა საქართველოს ხელმძღვანელებთან შესახვედრად, მზად არის მათთან სასაუბროდ, სადისკუსიოდ და გზების ძიებისათვის იმ რთული სიტუაციიდან გამოსასვლელად, რომელშიც ქართულ-რუსული ურთიერთობები აღმოჩნდა. საქართველოს ხელისუფლებას ეს განცხადებები ესმოდა, მაგრამ იმის შიშით, რომ დასავლეთის თვალში პრორუსულად წარმოჩნდებოდა, მათი იგნორირება მოახდინა.

**— მაგრამ რა შეუძლია საქართველოს ხელისუფლებას, თუ მოსკოვი მას, ურთიერთობის სრულმასშტაბიანი დარეგულირებისთვის, ახალი რეალიებისადმი, ანუ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის შეგუებისკენ მოუწოდებს? და ამ დროს თვითონ საქართველოც ითხოვს, რომ მოსკოვმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის აღიარება უკან წიღოს? ეს ხომ ჩიხია...**

— მოლაპარაკების დაწყებამდე არცერთმა მხარემ არაფერი არ უნდა მოითხოვოს. დიახ, არიან რუსეთში გარკვეული წრეები, რომლებიც მუდმივად ამბობენ, რომ საქართველო რეალობას უნდა შეურიგდესო. მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანია ვლადიმერ პუტინის ის განცხადება, როცა მან კითხვაზე პასუხი გასცა და აღნიშნა — თუ ქართველები და აფხაზები, ქართველები და ოსები მოილაპარაკებენ, როგორ სახელმწიფოში სურთ ცხოვრება, როგორ სამართლებრივ გარემოში, მაშინ რუსეთი მათ საქმეში არ ჩაერევა და წინააღმდეგი არ იქნებაო, ანუ დიპლომატიურ ენაზე ეს ნიშნავს, რომ თუ ქართველები და აფხაზები, ქართველები და ოსები მოილაპარაკებენ, ეს რუსეთის ინტერესებშიც შედის. ცხადია, ეს გზა იოლი არ არის. მე არ მაქვს იმის ილუზიები, რომ ამის მიღწევა ორი-სამი შეხვედრით შეიძლება, მაგრამ ეს უნდა დაწყებულიყო, საქართველოს ხელისუფლებას თანდათანობით უნდა გადაედგა ნაბიჯები ნდობის აღსადგენად. საჭირო იყო აფხაზებთან და ოსებთან საუბარი, უნდა გამოძიებულიყო 2008 წლის აგვისტოს ომის გარემოებები. უნდა დასჯილიყო მიხეილ სააკაშვილი იმისთვის, რომ მან დაწვა და დაანგრია ის ხიდები, რომელთა აღდგენა ქართველი და ოსი ხალხების მიერ უკვე მიმდინარეობდა. ამ შემთხვევაში მე ვთვლი, რომ აფხაზური და ოსური საკითხების გადასაწყვეტად სრულიად ახალი გზა იხსნებოდა, ფართო გზა. ამ დროს აუცილებელი იყო რუსეთის ჩართვა. მოსკოვს სურს, რომ მის საზღვრებს ნატოს ტანკები და რაკეტები არ ემუქრებოდეს. სწორედ ასეთ მომენტშია შესაძლებელი სანდო ურთიერთობების შენება. მაგრამ საქართველოს მხრიდან ასეთი ნაბიჯი არ გადაიდგა. თბილისის მოთხოვნები მოლაპარაკების დაწყების პირობად, რომ რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება უკან უნდა გაიწვიოსო და საქართველოს ტერიტორიიდან თავისი ჯარები უნდა გაიყვანოსო, ეს გზა ვერსად ვერ მიგვიყვანს.

**— თქვენი თვალსაზრისით, სიტუაცია უიმედოა თუ არის რესურსები რაღაც პოზიტიური ძვრებისათვის?**

— სიტუაცია რთულია. დრო ჩვენს წინააღმდეგ, საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მუშაობს. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ახალი თაობა იზრდება, რომლებმაც საქართველოსთან ურთიერთობაზე არაფერი კარგი არ იციან, უფროსი თაობისაგან განსხვავებით, რომლებსაც, რა თქმა უნდა, ახსოვთ ცუდიც, მაგრამ იმავდროულად კარგიც. მთლიანობაში სიტუაცია უარესდება. ეს ხელს არ უწყობს იმ პოზიტიური კავშირების აღდგენას, რაც მნიშვნელოვანია კონფლიქტის გადასაწყვეტად. ვფიქრობ, რომ საქართველო თავისი არასწორი მოქმედებით სულ უფრო და უფრო შორდება აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის პრობლემების მოგვარებას, რუსეთი კი უფრო და უფრო მტკიცედ უახლოვდება სოხუმსა და ცხინვალს. ამ ჩიხიდან გამოსვლის გზის პოვნა რთულდება. მე არ ვამბობ, რომ ხელი ჩამოვუშვათ, მაგრამ ძალიან საწყენია, როცა ვხედავ, თუ როგორ იკარგება დრო და როგორ რთულდება პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობა. ამის მიუხედავად, მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი შანსი ჯერ კიდევ არის, თუმცა, სამწუხაროდ, ვერ ვხედავ საქართველოს ხელისუფლების მზადყოფნას ამ შანსის გამოყენების მიზნით. ხელისუფლება ზედმეტადაა მიბმული აშშ-ის განსაზღვრული წრეების ინტერესებზე.

**— საქართველოს ხელისუფლება ინერტულობას ამჟღავნებს, მაგრამ განა არსებობს საზოგადოების განწყობა რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის?**

— მე ძალიან ბევრ ადამიანს ვხვდებოდი საპარლამენტო არჩევნების კამპანიის დროს. ვეკითხებოდი, სურდათ თუ არა მათ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება? უნდოდათ თუ არა, რომ საქართველო ნატოში გაწევრიანებულიყო რუსეთთან ურთიერთობების საზიანოდ? პასუხები ერთმნიშვნელოვნად მოწმობდნენ იმას, რომ ადამიანებს მეზობელ ქვეყანასთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება სურდათ. მაგრამ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მე და ჩემი პარტია პარლამენტის გარეთ დავრჩენილიყავით. ხმების დათვლის დროს დაშვებული შეცდომები ეუთოს დამკვირვებლებმაც დააფიქსირეს, შევიტანეთ 300-მდე სარჩელი და მოვითხოვეთ არჩევნების შედეგების გადამოწმება ერთ რომელიმე ოლქში მაინც, მაგრამ 300-ივე სარჩელზე უარი გვითხრეს. აშკარაა, რომ ხელისუფლებისათვის მე პარლამენტში არასასურველი ფიგურა ვიქნებოდი, რადგან კითხვები მექნებოდა არასწორი საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ, მე დავიწყებდი რუსეთთან პირდაპირ დიალოგზე ლაპარაკს... ამიტომაც ჩვენი პარტიის პარლამენტში არჩევა ბიძინა ივანიშვილისა და მისი გუნდისთვის აბსოლუტურად წამგებიანი იქნებოდა. ამიტომაც ჩამოგვაშორეს საპარლამენტო საქმიანობას. ამის მიუხედავად, ვაგრძელებთ აქტიურ ბრძოლას, რათა ქვეყანაში სიტუაცია შეიცვალოს, რათა ხელისუფლებამ, ბოლოს და ბოლოს, გაიგოს, რომ პრობლემის მოგვარების ერთადერთი გზა დიალოგია და არა რუსეთთან კონფრონტაცია. ეს დიალოგი არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს საბჭოთა კავშირის აღდგენას ან ჩვენი ქვეყნის საგუბერნიო სტატუსს. მაგრამ საქართველოში, სამწუხაროდ, საკითხი სწორედ ასე ისმება. როცა ჩვენი პრეზიდენტი საქართველოში ამერიკული სიმბოლოს მქონე ტრიბუნაზე ინგლისურად გამოდის, განა ვინმე გულისხმობს საქართველოს გადაქცევას აშშ-ის არაოფიციალურ შტატად?

**— დროდადრო თბილისში ისმის პოლიტიკოსებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნები, რომ ხელისუფლებამ რუსული პროპაგანდის შეზღუდვის მიზნით ზომები უნდა მიიღოსო. რაში გამოიხატება ეს პროპაგანდა?**

— იმაში, რაზედაც ახლა ვლაპარაკობდი — რუსეთთან დიალოგის დაწყების წინადადება პროპაგანდად ითვლება. ჩვენ პრორუსულ პარტიას გვიწოდებენ და ლამისაა სამშობლოს მოღალატეებად შეგვრაცხონ იმის გამო, რომ რუსეთთან დიალოგის მომხრენი ვართ. ცხადია, პოლიტიკოსისთვის საწყენია ის გარემოება, როცა გვიწევს ელემენტარული ახსნა იმისა, რომ თანამედროვე მსოფლიოში პრობლემების მოსაგვარებლად მხოლოდ ორი გზა არსებობს — ომი ან მოლაპარაკება. მე უპირატესობას მოლაპარაკებას ვაძლევ და ამას „პრორუსულ პოლიტიკას" უწოდებენ. როცა ვამბობ, რომ დროა, ვიმოქმედოთ საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებისთვის და არა აშშ-ის სასარგებლოდ, ესეც თურმე „პრორუსულ პროპაგანდას" ნიშნავს. მესმის, რომ რუსეთისთვის რთულია საქართველოს მიმართ პოზიტიური ნაბიჯები გადადგას, როცა პუტინის განცხადებას საქართველოს ხელისუფლებასთან შეხვედრის მზადყოფნის თაობაზე ჩვენი მხრიდან გამოხმაურება არ მოჰყოლია, როცა ჩვენს ქვეყანაში კვლავ გრძელდება პრონატოური ისტერია. მაგრამ გამოსავლის ძიება მაინც საჭიროა.

**პრობლემის მოგვარების ერთადერთი გზა დიალოგია და არა რუსეთთან კონფრონტაცია. ეს დიალოგი არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს საბჭოთა კავშირის აღდგენას ან ჩვენი ქვეყნის საგუბერნიო სტატუსს. მაგრამ საქართველოში, სამწუხაროდ, საკითხი სწორედ ასე ისმება. როცა ჩვენი პრეზიდენტი საქართველოში ამერიკული სიმბოლოს მქონე ტრიბუნაზე ინგლისურად გამოდის, განა ვინმე გულისხმობს საქართველოს გადაქცევას აშშ-ის არაოფიციალურ შტატად?**

კვალი დროში

# თვალსაჩინო მეცნიერი და პედაგოგი

## პროფესორი გედევან ხელაია 90 წლისაა

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი და საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია ულრმესი პატივისცემით მოგესალმებათ, თქვენ, თვალსაჩინო მეცნიერს, უმაღლესი სკოლის ცნობილ ორგანიზატორს, შესანიშნავ საზოგადო მოღვაწეს, მრავალი თაობის კვალიფიციური სპეციალისტების ღირსეულ აღმზრდელს, სანიმუშო მამულიშვილსა და მოქალაქეს და გილოცავთ დაბადებიდან 90 და სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის 65 წლისთავს.**



ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების თვალსაზრისით თქვენ განვლეთ ფრიად დიდი და სახელოვანი გზა. პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ (1949 წ.) დაიწყეთ მუშაობა იმავე უნივერსიტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრაზე, რომელსაც სათავეში ედგნენ საყოველთაოდ აღიარებული სწავლული მეცნიერ-ეკონომისტები ნ. ქოიავა და ცოტა მოგვიანებით კი ვ. ჩანტლაძე. ინტენსიური და მაღალნაყოფიერი მუშაობის შედეგად ამავე კათედრის ლაბორანტი გახდით მათი ღირსეული მემკვიდრე – კათედრის გამგე. თქვენ გაიარეთ უნივერსიტეტის ყველა სასწავლო-სამეცნიერო საფეხური, ამასთან ლექციების კითხვის პარალელურად, წლების მანძილზე, სხვადასხვა დროს, მუშაობდით ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, სამეცნიერო საბჭოს სწავლულ მდივნად, უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილედ, კათედრის გამგედ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თქვენი მოღვაწეობა 15 წლის განმავლობაში გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის წესით დაიკავეთ 1989 წელს. თქვენი უშუალო ძალისხმევით უნივერსიტეტში შემოღებული იქნა პრესტიჟული ეკონომიკური სპეციალობები, შეიქმნა ახალი ფაკულტეტები, კათედრები, გაიხსნა ასპირანტურა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროფესორ-მასწავლებელთა ხარისხობრივი შემადგენლობა, უნივერსიტეტი აღიჭურვა თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით და სხვ. ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა მეტად რთულ და დაძაბულ ვითარებაში მოგიხდათ იმ ცნობილი მიზეზების გამო, რასაც 90-იან წლებში ადგილი ჰქონდა სამაჩაბლოში.

უაღრესად შემოქმედებითი და ნაყოფიერია თქვენი მოღვაწეობა საქართველოს ეკონომიკური პრობლემების, კერძოდ ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი სფეროს – ფულის მიმოქცევის კრედიტისა და ფინანსების კვლევის მიმართულებით. აღსანიშნავია ის წვლილი, რომელიც შეიტანეთ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ძირეული საკითხების გარკვევაში, თანამედროვე საფინანსო და ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა რიგი პრობლემების გადაწყვეტაში. გამოქვეყნებული გაქვთ 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 14 მონოგრაფია, რამდენიმე სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო. წარმატებით დაიცავით როგორც საკანდიდატო, ასევე სადოქტორო დისერტაციები. სადოქტორო ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს ცნობილმა მეცნიერებმა: აკადემიკოსმა ი. ზლობინმა, პროფესორებმა ო. ლავრუშინმა, პ. ნიკოლსკიმ, ლ. კოლიჩევმა, აკადმიკოსებმა პ. გუგუშვილმა და ვ. ჩანტლაძემ. თქვენ აქტიურ მონაწილეობას იღებდით ეკონომიკისა და ფინანსების აქტუალური პრობლემისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, რომელიც ჩატარდა დრეზდენში, ბერლინში, მეხიკოში, ლოძში, ბუდაპეშტში, მოსკოვში, ლენინგრადსა და ყაზანში.

სამაგალითოა თქვენი პედაგოგიური საქმიანობა. შესანატრი ჰარმონიულობით უხამებთ ერთმანეთს სტუდენტებისადმი მტკიცე, პრინციპულ მომთხოვნელობას და უაღრესად გულთბილ, ყურადღებიან მამაშვილურ დამოკიდებულებას. თქვენი რჩევა-დარიგებებით და უშუალო ხელმძღვანელობით ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ეზიარა ეკონომიკური მეცნიერების ძნელ და რთულ გზას. სწავლა-აღზრდის საქმეში შეტანილი წვლილისათვის და ნაყოფიერი სამეცნიერო პედაგოგიური საქმიანობისათვის დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით. დღესაც განაგრძობთ საქმიანობას ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტში და შეგაქვთ თქვენ მოკრძალებული წვლილი ახალგაზრდა თაობის მომზადებაში.

უსაზღვროდ სასიხარულოა ასეთი მრავალფეროვანი საქმიანობით, ახალგაზრდული ენერგიითა და შემართებით რომ ხვდებით თქვენს საიუბილეო თარიღს. გისურვებთ ჯანმრთელობას, მუდამ ახალგაზრდულ იერსახესა და შემართებას, ახალ შემოქმედებით წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

გფარავდეთ ღმერთი!

**მეგობრები**

წერილი რედაქციას

# გაუგებრობა თუ საბოტაჟი

**ახალი ხელისუფლების პირობებში საქართველოში თითქმის ყველა სფეროში წარმატება შეინიშნება. ერთი რუსთაველი მოქალაქის თქმისა არ იყოს – ჭიაბერაშვილი უნდა იყო, რომ ეს წარმატებები ვერ დაინახო. ერთხელ, ეს არსება გამოვიდა ტელევიზიით და სრულიად უსირცხვილოდ განაცხადა: საქართველოში მოსახლეობის 50 პროცენტი შიმშილობსო. ამ გამონათქვამების აბსურდში რომ დავრწმუნდეთ, ჩავატაროთ ასეთი ექსპერიმენტი: მაგალითად, რუსთავში შევიდეთ ნებისმიერ ეზოში და გამაძლიერებლით ხმამაღლა მივმართოთ იქ მცხოვრებთ: ვინც უმუშევარი ან მშიერი ხართ, ჩამოდით ეზოში. ერთი ადამიანიც კი არ გამოეხმაურება ამ მოწოდებას. ძნელად იპოვით ოჯახს, სადაც ერთი ან მეტი დასაქმებული ოჯახის წევრი არ ჰყავდეს. ეზოები გადატენილია მანქანებით. არის ფაქტები, როცა ოჯახში ორი მანქანაც კი ჰყავთ. ყველა ეს გადაადგილების საშუალება ყოველდღიურ მოძრაობაშია.**

**ერთი რუსთაველი მოქალაქე ჩემთან საუბარში იმით დაინტერესდა, რომ ამეხსნა მისთვის, თუ რამ გამოიწვია მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება. დავუსახელე, ავუხსენი ის ფაქტორები, რამაც გამოიწვია ეს წარმატებები. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ვერ გავექცევით იმის აღნიშვნასაც, რომ ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამჟამინდელმა ხელისუფლებამ. მან წინა ხელისუფლებასთან შედარებით, ეკონომიკაში სწორი მიმართულება აიღო; სწორად შეარჩია ადგილობრივი ხელმძღვანელები. რუსთავის მერს ბატონ დავით ჯიქიას კაბინეტში იშვიათად ნახავთ. ხალხშია გასული. სურს, ადამიანების საჭიროებები ადგილზე გაარკვიოს. წლობით გაჩერებულ მშენებლობებს კვლავ ამშვენებს ხარაჩოები. ამ გაგანია სიცხეში გახურებული მუშაობა მიმდინარეობს ქალაქის გზებზე – იგება ახალი ასფალტი, მშვენდება და კეთდება სკვერები. თითოეულ ეზოში მოწყობილია ბავშვების გასართობები.**



რად ღირს მარტო ის, რომ მეტალურგიულ ქარხანასთან არსებულ სკვერს საქართველოს მასშტაბით უმშვენიერეს უწოდებენ. გაშენდა რაგბის სტადიონი. თითოეულ უბანში მოწყობილია ფეხბურთის მინი სტადიონი. მოკლედ, ბატონი დავითი სულ იმის ქმნაშია, რომ არც ერთი რუსთაველი მოქალაქე უკმაყოფილო არ ჰყავდეს. თუმცა ამის მიღწევა არც თუ ისე იოლია. გუნდიც სათანადოდ შერჩეული ჰყავს. მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსი ქალბატონი ნინო ქვირია სრულიად შეესაბამება ამ სამსახურს. უპირველესად ვიტყოდი, რომ იგი ალტრუისტია, რაც ადამიანთა შორის იშვიათი შემთხვევაა. მისი მამოძრავებელი ძალა სხვებისადმი პატივისცემაა. მას ეს დიდ სულიერ სიამოვნებას ანიჭებს. მე როგორც „საბჭოთა პერიოდის საქართველოს პოლიტპატიმართა გაერთიანების“ თავმჯდომარეს ხშირად მქონია მასთან შეხვედრა. მომისმენია, თუ როგორი ლმობიერებით ეპყრობა თითოეულ მთხოვნელს. პროექტებისა და პროგრამების შედგენას დიდ დროს ანდომებს. სურს უმწეოთათვის დახმარების გაწევა, რისთვისაც შეადგინა პროგრამა, რაც ამ კატეგორიის ადამიანებისთვის მომვლელის მიჩენას გულისხმობს. გული სტკივა, რომ რუსთაველი ბიზნესმენები ჯერჯერობით ამ ღვთისნიერ საქმეს არ გამოხმაურებიან. ჩემს ნათქვამში რომ დარწმუნდეთ, საკმარისია ერთი დღე ამ მშვენიერი ქალბატონის საქმიანობას თვალყური მიადევნოთ და შექების სიტყვებს თქვენც არ დაიშურებთ.

ბუნებრივია, ქალაქში ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში საათივით აწყობილი საქმე არ იქნება. ზოგს ამ ჰარმონიაში დისონანსიც კი შეაქვს. მაგალითად, ქვემო ქართლის სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსის ბატონი ბესიკ ტეფნაძის მისამართით ბევრი საჩივარი არსებობს.

ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე – ტეფნაძე ან ვინმეს მიერ „ჩანერგილია“, ან თავის საქმეს არაშემოქმედებითად უდგება. ორივე შემთხვევაში ხალხს არასწორ წარმოდგენას უქმნის ამ დაწესებულებაზე. ამას ჰქვია საბოტაჟი და ღალატი. თუ ზემოხსენებული ინდივიდი ჩანერგილია, ამ კატეგორიის ადამიანები თანამდებობაზე არ არიან გასაჩერებელი, ხოლო, თუ იგი თავის საქმიანობას არაშემოქმედებითად უდგება – ჩვენი წერილის შემდეგ – შემოქმედებითად მიუდგება და ყველაფერი გამოსწორდება. ეს წერილი არ არის ბოროტული განზრახვით დაწერილი, არამედ მეგობრულია. ხომ გაგვიგონია – მოყვარეს პირში უძრახე...

საერთოდ, უმწეოთა დახმარების საკითხი რესპუბლიკის მასშტაბით არ არის მოგვარებული. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახლა მეტი ადამიანი იღებს დახმარებას, ვიდრე წინა ხელისუფლების დროს. ამ მოუგვარებლობის ფაქტორად ასახელებენ ქულების დათვლის არასწორ მეთოდოლოგიას; ასახელებენ იმასაც, რაც მე რუსთავის მაგალითზე ვაჩვენე.

იმასაც აღვნიშნავდი, რომ ყველა უკმაყოფილო და გაჭირვებული – ეხება თუ არ ეხება ქალბატონ ნინოს – საშველად მასთან მიილტვის. ბუნებრივია, ეს კეთილშობილი მანდილოსანი ყველას დამამშვიდებელ პასუხს აძლევს. მოქალაქეებს ხშირად განუცხადებიათ, რომ ქალბატონი ნინოს რეკომენდაციით მიუმართავს ტეფნაძისთვის, რათა უმწეო ოჯახები განმეორებით შეამოწმონ.

ჩემი აზრით, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა არის ის, რომ თვით სამსახურის უფროსი თვეში ორჯერ ან სამჯერ ბინაში ეწვიოს უმწეოთა ოჯახებს და თავად ნახოს ყველაფერი, რაც შეჭირვებული ოჯახის თავზე ტრიალებს. ჩანერგილებს კი ვურჩევ – სახელმწიფოს წისქვილის ბორბალში ნუ ჩავჩხერთ რკინის კეტს, რამეთუ ასეთ მდგომარეობაში მყოფმა კეტმა ასხლეტაც იცის...

**ვაჟა ჟღენტი,**

**საბჭოთა პერიოდის საქართველოს პოლიტპატიმართა გაერთიანების თავმჯდომარე**

◎ მოვითხოვ ყურადღებას!

# როგორ მოვაღონიეროთ სამამულო სოფლის მეურნეობა?

## ტექნიკა, რომელიც საქართველოში სიღარიბისა და ანექსიის ტოლფასი გარემოებების შემქმნელია!!!

**ვიმედოვნებ, რომ წინამდებარე წერილის სათაურშივე ჩანს ის დიდი გაკვირვება, რომელსაც სოფლის მეურნეობის სპეციალისტებსა და ამ დარგის მეცნიერებში იმ ორგანიზაციების საქმიანობა გამოიწვევს, რომლებსაც საზღვარგარეთიდან საქართველოში სარეალიზაციოდ მოტობლოკები შემოაქვთ.**

აღნიშნული მოტობლოკების გამოყენების შედეგად მიღებული უდიდესი ზიანის წარმოსაჩენად, ვფიქრობ, უპრიანი იქნებოდა ამ ხალხისთვის გვეკითხა: თქვენ რომ იყოთ ისეთი მცირეფართობიანი მიწის ნაკვეთის მფლობელი, როგორიც საქართველოს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უმეტეს ნაწილს აქვს და რომელიც სიმინდსა და კარტოფილს 60 სანტიმეტრით და, ზოგ შემთხვევაში, უფრო ნაკლები მანძილით დაშორებულ მცენარეთა რიგებში თესავს, განა ასეთ კულტურებს დათესავთ 90 სანტიმეტრით დაშორებულ რიგებში? ანდა სოიოსა და ლობიოს, რომლებიც კიდევ უფრო მჭიდროდ, რიგთაშორის 35-40 სანტიმეტრის დაშორებით ითესება, ხალხი იმავე 90 სანტიმეტრის დაცილებით დათესავთ? არადა, ის მოტობლოკები, რომლებიც ამჟამად საქართველოში შემოაქვთ, გლეხების მიწის ნაკვეთების მხოლოდ ასე უყაირათოდ გამოყენების საშუალებას იძლევა.

იმის ახსნა, თუ რატომაა ასეთი წამგებიანი 9-10 ცხენის ძალის მქონე მოტობლოკები, იმით შეიძლება, რომ აღნიშნული ტექნიკის სიგანე, ბორბლების გარე ნაწილის ჩათვლით, 60 სანტიმეტრია, რის გამო ასეთი გაბარიტების მქონე ტექნიკას, კულტივაციისა და სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩასატარებლად, აგროწესების დაცვით დათესილ სხვადასხვა მინდვრის კულტურების რიგებში შესვლის უნარი არა აქვს. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო წლებში მოსალოდნელია ჩვენი სოფლის მოსახლეობის ნაკვეთებში ასეთი ტექნიკის მასობრივად დამკვიდრება, უარყოფითი თვისებების გამო, ნებისმიერ მიწის ნაკვეთზე მისი გამოყენებით არა მარტო 33,1 პროცენტით ნაკლებ მოსავალს მივიღებთ, არამედ ისეთ ანექსირებულ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, ზემოაღნიშნულის შედეგად კიდევ უფრო მეტ ტერიტორიებს დავკარგავთ.

რაც შეეხება გენოციდს, განა ძნელია იმის მიხვედრა, რომ თუ სოფლის ოჯახები სხვადასხვა ძირითადი კულტურებიდან პოტენციურად მისაღები მოსავლის (ანუ სურსათის) 33,1-55,6 პროცენტს დაკარგავენ, ამით ისინი მოსახლეობის ოდენობის კატასტროფული კლების გზაზე დამდგარ ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, რაიმე დამაიმედებელი საპირისპირო პროცესების ჩართვას ვერანაირად ვერ შეძლებენ? მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, რომ საქართველოში შემოტანილი პროდუქციის 60-70 პროცენტი გენმოდიფიცირებულია,



მომწამვლელი და ჯანმრთელობისთვის საზიანო, რაც დიდისა თუ პატარის სიცოცხლეს უდიდეს საფრთხეს უქმნის.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ სხვადასხვა ფირმების მოტობლოკებს შორის, რომლებიც ჩვენში იყიდება, ერთ-ერთი ფირმის მოტობლოკის მცირედი გადაკეთების შემდეგ, მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ 70 სანტიმეტრის მანძილით დაშორებულ სიმინდსა და კარტოფილის რიგთაშორისებში.

ამდენად, თუ როგორ შეიძლება სოფლის მოსახლეობის სასიკეთოდ შემდგომში ამ მოტობლოკების გამოყენება, ამისათვის საჭიროა ამ შესრულებადი საქმის განხრით ჩამოყალიბდეს სპეციალური სამსახური, რომლის თანამშრომლები ვალდებული იქნებიან მცირე დროში პირნათლად შეასრულონ მათზე დავალებული საქმე და იმ პირებს არ დაემსგავსონ, რომლებიც დღესდღეობით ამ სერიოზული დარგის სათავეში აღმოჩნდნენ და რომელთაც სამშობლოს წინაშე მოვალეობის გრძნობის მისხალი არ გააჩნიათ.

**ვასილ ჩხიკვაძე,**
**ტელ. 558 753 400**

◎ ახალი დეტალები

# აფეთქებების სერია აფხაზეთში



**აფხაზეთში, გუდაუთის რაიონის სოფელ პრიმორსკოეში ლოკალური აფეთქებები ამ დრომდე გრძელდება. როგორც შემთხვევის ადგილიდან აფხაზი ჟურნალისტები იუწყებიან, სამხედრო საწყობის სიახლოეს ტყის მასივი იწვის, ტერიტორიაზე ამ დრომდე რჩება დიდი რაოდენობით აუფეთქებელი ნაღმები და სხვა სახის შეიარაღება. მათი ნაწილი გამნაღმველებმა რამდენიმე ლოკაციაზე დააგროვეს და წითელი ლენტებით მონიშნეს. პრიმორსკოეს გამგებელი ანზორ საკანია ადასტურებს, რომ აფეთქებები ამ დრომდე გრძელდება, თუმცა იმედოვნებს, რომ „სერიოზული აფეთქება აღარ იქნება“.**

დე ფაქტო თავდაცვის სამინისტროს სარაკეტო-საარტილერიო შეიარაღების საწყობში 2 აგვისტოს მომხდარი აფეთქებების ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო სამხედრო პროკურატურამ აღძრა. მანვე აცნობა აფხაზურ გამოცემა „აფსნიპრესს“ 2 აგვისტოს ინციდენტის დეტალები:

**„2 აგვისტოს ადგილობრივი დროით 16:20 სთ-ზე გუდაუთის რაიონის სოფელ პრიმორსკოეში თავდაცვის სამინისტროს სარაკეტო-საარტილერიო შეიარაღების საწყობზე ასაფეთქებელი მოწყობილობების 2 აფეთქება მოხდა, რამაც შემდგომში იქ არსებული მსხვილკალიბრიანი და სხვა სახის დიდი ოდენობით საბრძოლო მარაგების დეტონირება გამოიწვია. შედეგად სასაწყობე ფართზე აალება მოხდა, რაც შემდგომში სხვადასხვა კლასიფიკაციის შეიარაღების მრავალროცხოვანი აფეთქების მიზეზად იქცა“.**

დე ფაქტო უწყების ოფიციალური ინფორმაციით, მომხდარის შედეგად დაიღუპა რუსეთის ფედერაციის 2 მოქალაქე – 1970 წ. დაბადებული პოლიაკოვა ე.პ. და 1962 წ. დაბადებული ტომოფეევა ე.მ. სანკტ-პეტერბურგის მკვიდრი ქალბატონები სოფელ პრიმორსკოეში არსებული გოგირდოვანი წყაროს სიახლოვეს ისვენებდნენ. ისინი აფეთქებების შედეგად მიღებული მძიმე ჭრილობების შედეგად გარდაიცვალნენ. კიდევ 65-მდე ადამიანი, რომელთა შორის 35 რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა, ხოლო დანარჩენი – ოკუპირებული აფხაზეთის, სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებებით აფხაზურ კლინიკებში მოათავსეს.

აფეთქების შედეგად დაზიანდა ახლომდებარე საცხოვრებელი კორპუსები, 60-მდე კერძო სახლი, რუსი ტურისტების კუთვნილი ავტომანქანები, წყლის საქაჩი სადგური, რომელიც სოფელს წყლით ამარაგებს. დაზიანებულია გოგირდოვანი წყაროს ნაგებობებიც, რომელიც საწყობიდან 100 მეტრშია განთავსებული.

დე ფაქტო სამხედრო პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე ე.წ. სსკ-ის 35- მუხლის მესამე ნაწილით აღძრა.ამჟერად ტარდება საგამოძიებო ღონისძიებები მომხდარი გარემოებების დასადგენად.

# „საქართველოს ლატარიის კომპანია“ იხურება!

**„საქართველოს ლატარიის კომპანია“ იხურება, – ამის შესახებ კომპანია განცხადებას ავრცელებს. არსებული ინფორმაციით, ლოტო 6/36-ის ბოლო, რიგით 796-ე გათამაშება 1 სექტემბერს გაიმართება.**

„საქართველოს ლატარიის კომპანია“ ლოტოს ბოლო გათამაშების ორგანიზებისა და მოგების განაღდების პროცედურების დასრულების შემდეგ საქმიანობას შეწყვეტს.

„ეროვნულ ლატარიაში ჩართული მონაწილეების ინტერესების გათვალისწინებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს ლატარიის კომპანიის გათამაშებაში მონაწილეობის მიღება 2017 წლის პირველი სექტემბრის ჩათვლით იქნება შესაძლებელი“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.



ცნობისთვის, „საქართველოს ლატარიის კომპანია“ ქართულ ბაზარზე 2009 წელს შემოვიდა და ამ დრომდე საქართველოში ლატარიის გამართვის ექსკლუზიურ უფლებას ფლობს. „ლატარიის კომპანიის“ 70%-იან წილს სახელმწიფო ფლობს, 30% კი ბრიტანეთში, ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „ლექსორ კაპიტალ კორპორეიშენს“ ეკუთვნის.

# წელს საქართველოში 5009 სამშენებლო ნებართვა გაიცა

**წლის პირველ ნახევარში საქართველოში 5009 სამშენებლო ნებართვა გაიცა. როგორც „კომერსანტი“ წერს, აქედან ყველაზე მეტი ნებართვა თბილისზე მოდიოდა:**

თბილისი – 2360; აჭარა – 589; სამეგრელო-ზემო სვანეთი – 280; ქვემო ქართლი – 639.

სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, 3247 ნებართვა გაიცა საცხოვრებელ შენობაზე.

სასტუმროს მშენებლობაზე 6 თვეში 158 ნებართვა გაიცა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 18 ნებართვით მეტია.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტის მშენებლობაზე წლის 6 თვეში ჯამში 132 ნებართვა გაიცა, ხოლო სამრეწველო და სასაწყობე შენობაზე – 265.



# პენსის თბილისში ნათქვამი ტრამპს ნიუ იორკში ემცხეთა!

## მაიკ პენსმა თბილისში რუსეთისგან მოკავშირეების დაცვის შესახებ განაცხადა, თუმცა, საწყენია, რომ მას თეთრ სახლში თავისი უფროსი არ ეთანხმება

**„რუსეთთან ურთიერთობის შესახებ ვაშინგტონში მიმდინარე დაუსრულებელი დავების ქაოსისა და კაკაფონიის ფონზე მომგებიანადაა გამოკვეთილი ვიცე-პრეზიდენტ მაიკ პენსის თანმიმდევრული პოზიცია. თავისი აღმოსავლეთევროპული ტურნეს დროს იგი აქებდა ამერიკის ძველ მოკავშირეებს და ადასტურებდა მზადყოფნას, რომ ამერიკა დაიცავს დემოკრატიულ ქვეყნებს მათგან, ვინც მათ დესტაბილიზებას ცდილობს. საწყენი მხოლოდ ისაა, რომ მაიკ პენსს თავისი უფროსი თეთრ სახლში არ ეთანხმება“,** — ამის შესახებ გავლენიან ამერიკულ გამოცემა „**The New York Times**“-ის მიერ გამოქვეყნებულ სარედაქციო სტატიაშია საუბარი, რომლის ქართულენოვან ვერსიას **„ნიუსპრესი“** გთავაზობთ:

სამშაბათს მაიკ პენსმა მაღალ დონეზე შეაფასა ის წარმატებები, რომლებსაც საქართველოს დემოკრატიამ მიაღწია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და აღნიშნა, რომ რუსული ტანკები კვლავ სამხრეთ ოსეთში იმყოფებიან — ცხრა წლის შემდეგ რუსეთის შეჭრიდან. **„გვიგულეთ თქვენს გვერდით. ჩვენ თქვენს მხარეს ვართ“,** — განაცხადა მან.

ერთი დღით ადრე, ტალინში, ესტონეთის, ლიტვის და ლატვიის (ნატოს წევრი ქვეყნების) ლიდერებთან შეხვედრის დროს მაიკ პენსმა აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები მკაცრად იცავს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წესდების მეხუთე მუხლით გამოხატულ ვალდებულებას კოლექტიური თავდაცვის თაობაზე და **„გმობს ძალის გამოყენების, მუქარის, დაშინების ყოველგვარ მცდელობას და მავნე გავლენას როგორც ბალტიისპირეთის სახელმწიფოების, ასევე ალიანსის ყოველი წევრის მიმართ“**. მაიკ პენსმა ღიად მიანიშნა, თუ რატომ მიაჩნია მას აუცილებელ ფაქტორად ნატოს წევრების ერთიანობა ისე „როგორც არასდროს“ კომუნიზმის დაცემიდან 25 წლის შემდეგ: **„ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში დღეს არც ერთი საფრთხე ისე ძალიან არ იგრძნობა, როგორც თქვენი აღმოსავლელი არაპროგნოზირებადი მეზობლის აგრესიის შესაძლებლობა“,** — ხაზი გაუსვა მან და რუსეთი „საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ძალადობრივ შეცვლაში, სუვერენული ქვეყნების დემოკრატიის ძირის გამოთხრასა და ევროპის თავისუფალი ქვეყნების ერთმანეთის წინააღმდეგ წაქეზებაში“ დაადანაშაულა.

ვიცე-პრეზიდენტ მაიკ პენსის სწორხაზობრივი მიდგომა პრობლემისადმი და მისი მტკიცე დამოკიდებულება სამოკავშირეო ვალდებულებისადმი სრულად ასახავს რუსეთის მიმართ აშშ-ის ტრადიციულ ხედვას. რუსული აგრესიის გაძლიერებისა და მოსკოვ-ვაშინგტონს შორის გაღრმავებულ დაძაბულობასთან დაკავშირებით მისი ტურნე, ისევე როგორც აშშ-ის სახელმწიფო მდივნისა და თავდაცვის მინისტრის ადრინდელი ვიზიტები უკრაინასა და სხვა ევროპულ ქვეყნებში მნიშვნელოვანი სიგნალია იმ მოკავშირეებისა და პარტნიორებისათვის, რომლებიც რუსეთის ჩრდილში ცხოვრობენ.

აშშ-ის ადმინისტრაციაში ძალოვანი უწყებების წარმომადგენლების უმრავლესობა, ისევე როგორც მაიკ პენსი, რუსეთს მთავარ მოწინააღმდეგედ მიიჩნევენ. ისინი განსაკუთრებით შემაშფოთებლად თვლიან რუსეთის გეგმებს, რომელთა თანახმად, მოსკოვი ზაფხულის ბოლოს ნატოს აღმოსავლეთ საზღვართან დაახლოებით 100 ათასამდე ჯარისკაცს განალაგებს. ეს ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ზომაა, რომელიც პრეზიდენტმა მიიღო რუსეთის შეიარაღებული ძალების განმტკიცების ჩარჩოებში.

**მაიკ პენსს არაერთხელ განუცხადებია, რომ იგი არა მხოლოდ თავისი სახელით, არამედ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის სახელითაც ლაპარაკობს. თუმცა, იმავდროულად გაურკვეველია, თუ რამდენად შეესაბამება მისი სიტყვები სინამდვილეს, რადგან დონალდ ტრამპი აგრძელებს თავისი ვიცე-პრეზიდენტის მტკიცებების უკუგდებას — როგორც სიტყვით, ისე საქმით. დონალდ ტრამპი ისე იქცევა, რომ მისი არათანმიმდევრული მოქმედება არ შეიძლება არ იყოს აღქმული როგორც სისუსტედ და გაუბედაობად ვლადიმერ პუტინისა და აშშ-ის მოკავშირეების თვალში, რაც, თავის მხრივ, სავსებით არ შეესაბამება ჩვენი ქვეყნის — აშშ-ის ინტერესებს.**

ამას წინათ დონალდ ტრამპმა, პოლონეთში ყოფნის დროს, განაცხადა, რომ **ამერიკა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლის ერთგულიაო, მაგრამ როგორ შეიძლება პრეზიდენტს დავუჯეროთ? ყველამ შენიშნა, რომ მან ეს ძალიან უსიამოვნო გრძნობაგანწყობით თქვა, თითქოსდა იძულებით. თანაც ხომ გვახსოვს, რომ მანამდე დონალდ ტრამპი ნატოს მიმართ როგორ შეურაცხმყოფელ განცხადებებს აკეთებდა?**

**მაიკ პენსმა ქართველებს აცნობა, რომ შეერთებული შტატები უარს არ ამბობს 2008 წელს ნატოს ბუქარესტის სამიტზე გაკეთებულ განცხადებაზე, რომლის თანახმად საქართველო ოდესმე ალიანსის წევრი უნდა გახდეს. მაგრამ იბადება კითხვა — რამდენად იქნება ვაშინგტონი მზად თავისი სიტყვის შესასრულებლად და მოისურვებს თუ არა დონალდ ტრამპი გარისკვას და ვლადიმერ პუტინთან თავისი ურთიერთობის კიდევ უფრო გაუარესებას?**

ეჭვები დონალდ ტრამპის ხედვებზე რუსეთის მიმართ მას შემდეგ გაჩნდა, როცა მან აღტაცება გამოხატა ვლადიმერ პუტინის მოქმედებაზე და განსაკუთრებით გაძლიერდა, როცა სპეცსამსახურებმა დაადგინეს, თუ როგორ მოახერხა მოსკოვმა „ჩაბმულიყო“ აშშ-ის 2016 წლის საარჩევნო კამპანიაში. სხვათა შორის, დონალდ ტრამპს პასუხი არ გაუცია ვლადიმერ პუტინის განცხადებისთვისაც, რომელიც რუსეთის ლიდერმა გასულ კვირას გააკეთა მოსკოვში აშშ-ის საელჩოს პერსონალის 755 თანამშრომლით (455-მდე) შემცირებისა და საელჩოს კუთვნილი დიპლომატიური საკუთრების კონფისკაციის თაობაზე.

ის, რომ ჩვენს მთავარ ტვიტერისტს ვლადიმერ პუტინის მოქმედების დაგმობა არ სურს, სრულიად აშკარა კითხვებს ბადებს... მან საკმაოდ გააჭიანურა ხელმოწერაც კონგრესის მიერ სანქციების შესახებ მიღებულ კანონზეც **(თუმცა საბოლოოდ მას ხელი 2 აგვისტოს მოეწერა, რედ.)**.

მისტერ დონალდ ტრამპს ხელისუფლებაში მოსვლისას რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება სურდა. ეს სავსებით გონივრული მიზანია — რუსეთი ხომ განსაკუთრებით მნიშვნელოვან ქვეყანას წარმოადგენს. და მიუხედავად იმისა, რომ ვლადიმერ პუტინის ჩარევამ ამერიკულ არჩევნებში (ისევე როგორც მისმა სხვა მადესტაბილიზებელმა ნაბიჯებმა, ყირიმის ანექსიის ჩათვლით), თანამშრომლობის სივრცე შეზღუდა, ურთიერთობის გაუმჯობესების მოსინჯვა მაინც მხარეთა ინტერესებშია.

**მაგრამ იმისათვის, რომ შეერთებულ შტატებს ამ რთული და არაერთგვაროვანი პრობლემის გადასაჭრელად რეალური შანსი გაუჩნდეს, დონალდ ტრამპმა მკაცრი, ხისტი და მტკიცე პოზიცია უნდა გამოავლინოს, რომელიც ვლადიმერ პუტინსა და ამერიკელი ხალხის მოკავშირეებს დაარწმუნებს: აშშ-ის პრეზიდენტმა იცის, რასაც აკეთებს და მისი გუნდი მას მხარს უჭერს.**

„The New York Times“ (აშშ)

# აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ სურს პუტინს სოხუმში ჩასვლა

**„რვა აგვისტოს, რუსეთსა და საქართველოს შორის სამხედრო კონფლიქტის დაწყების მეცხრე წლისთავს, ვლადიმერ პუტინი ოკუპირებულ აფხაზეთში ჩასასვლელად ემზადება“,** — ნათქვამია უკრაინულ გამოცემა „Обозреватель“-ის მიერ გამოქვეყნებულ მასალაში.

გამოცემასთან საუბრისას აღნიშნულ საკითხზე კომენტარს აკეთებს რუსი პუბლიცისტი და პოლიტოლოგი **ლეონიდ რაძიხოვსკი:**

**„ძალიან ძნელია ამ ვიზიტის მიზნის გაგება. პიარისათვის სოხუმში ჩასვლა უაზრობაა. რასაკვირველია, ეს საქართველოს თითქოს ცხვირში წკიპურტის გაკვრას ნიშნავს, მაგრამ აშკარაა, რომ რუსეთს არ შეუძლია და ვერც შეძლებს ამ მიმართულებით აქტიურობის გაძლიერებას. თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა აქტიურობა შეიძლება აფხაზეთში? იქიდან საქართველოს თავს ხომ არ დაესხმება? ეს აბსოლუტურად გამორიცხულია და თვითონ აფხაზებსაც არაფერში არ ჭირდებათ. აფხაზეთი არ ესწრაფვის ტერიტორიულ ექსპანსიას საქართველოს წინააღმდეგ. აფხაზეთი ხომ „დნრ“ („დონეცკის სახალხო რესპუბლიკა“) არაა, სადაც გიჟი (ალექსანდრ) ზახარჩენკო ახალი სახელმწიფოს შექმნაზე და უკრაინის გადაყლაპვაზე ოცნებობს. აფხაზეთს საქართველოს მიმართ მსგავსი გეგმები არა აქვს. მისი ერთადერთი მიზანია საქართველოსაგან ცალკე არსებობა. შეიძლება ეს მიზანი გონივრულია ან სულელური, მაგრამ აფხაზებს მის გარდა სხვა არაფერი უნდათ. ამიტომაც აფხაზეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ არანაირი ექსპანსია მოსალოდნელი არ არის.**



**ვლადიმერ პუტინს აფხაზეთისადმი მხარდაჭერის გამოხატვა სურს? კი, მაგრამ რა მხარდაჭერა უნდა სოხუმს? ის მაინცდამაინც ისეთ უიმედო მდგომარეობაში არაა, რომ მხარდაჭერა ჭირდებოდეს. მართალია, იქ რუსი ტურისტები დახოცეს, მაგრამ მკვლელები სწრაფად იპოვეს. ამიტომ პუტინი აფხაზეთში ასეთი წვრილი მკვლელობების გამო არ ჩავა, ის ხომ გამომძიებელი არ არის. ამიტომაც ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ უნდა მას სოხუმში ჩასვლა“.**

### პუტინი კიდევ ერთი ვადით პრეზიდენტობაზე იფიქრებს

რუსეთის პრეზიდენტი კი შორეულ აღმოსავლეთში იმყოფება. ბურიატიის ერთ-ერთმა მცხოვრებმა მას კითხვა დაუსვა, აპირებს თუ არა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. კითხვაზე, სურს თუ არა მას კიდევ ერთი ვადით პრეზიდენტობა, პუტინმა განაცხადა, რომ ამ საკითხზე იფიქრებს. საპრეზიდენტო არჩევნები რუსეთში მომავალი წლის მარტში გაიმართება.

### თოლიამ პირდაპირი ეთერი ჩაშალა




გიგანტურმა თოლიამ სატელევიზიო ეთერი ჩაშალა. კანადური ტელევიზიის პირდაპირ ეთერში ფრინველი ამინდის პროგნოზის გამოცხადებისას ობიექტივში გამოჩნდა. წამყვანის უკანა ფონზე მან ქალაქის ხედი დაფარა, რამაც ტელეწამყვანი სარა ჯინს სტივენსი მხიარულ ხასიათზე დააყენა. მან სიცილი ვერ შეიკავა და ეთერის გაგრძელება ვერ შეძლო.

### ბერლინი დაიტბორა

ბერლინში სტიქიას ებრძვიან. გადაუღებელი სეზონური წვიმის შედეგად ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონები დაიტბორა. სტიქიამ ყველაზე დიდი ზარალი ზელენდორფის რაიონს მიაყენა. წყალდიდობის შედეგად საავტომობილო მოძრაობა შეფერხდა. ინფორმაცია მსხვერპლის შესახებ არ გავრცელებულა.

### ბრიტანელი პროგრამისტი, რომელმაც მსოფლიო კომპიუტერული ვირუსისგან იხსნა, დააკავეს

ამერიკელმა სამართალდამცველებმა ბრიტანელი პროგრამისტი დააკავეს, რომელმაც მსოფლიო კომპიუტერული ვირუსის, „უანაქრაის“ საფრთხისგან იხსნა. მას ბრალს დამაზიანებელი პროგრამის, კრონოსის რეკლამირებაში უყენებენ. 22 წლის მარკუს ჰატჩინსი ლას-ვეგასში მას შემდეგ დააკავეს, რაც ყოველწლიურ ჰაკერულ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა. სამართალდამცველები აცხადებენ, რომ ჰატჩინსის დაკავება „უანაქრაის“ ვირუსის საქმეს არ უკავშირდება.

**„აი, ესაა ორგანიზაცია!“ — გავიფიქრე მე. მეორე დღეს დამირეკა სტალინმა და მკითხა, თუ მოსკოვში ვართ. ასე მოულოდნელად და სწრაფად მოხდა ჩვენი შტაბის დისლოკაცია ახალ ადგილზე, ჟუკოვსკის სახელობის აკადემიაში, სადაც მთელი ომის განმავლობაში იმყოფებოდა“.**

ერთ დღეში შეიძლებოდა გადაგეყვანა ერთი ადგილიდან მეორეში დივიზიის შტაბი. და სათავსოც ამისთვის თავისუფლდებოდა მომენტალურად. არადა, შენობა, რომელიც გოლოვანოვმა დაიკავა, ცარიელი როდი იყო, ისინიც, ვინც იქ იყვნენ, უნდა გადაგეყვანა სადღაც.

სტალინის თავმდაბლობის შესახებ შეიძლება მთელი წიგნი დაიწეროს. თანაც არა ერთი. სამოცდაათ წლისთავზე სტლაინს აჩუქეს „არაბული ტაიჭი“, რომელიც მხოლოდ ერთხელ შეაბა ორლოვმა მარხილში. გაისეირნა სტალინმა სტუმრებთან ერთად აგარაკის ტერიტორიაზე და ტაიჭი ზუბალოვოში გაგზავნა... ერთი სიტყვით, ყველა საჩუქრებიდან, რომლებიც გამოუგზავნეს იუბილესთვის, სტალინმა დაიტოვა მხოლოდ ხელთათმანები და წამოსასხამები“. ლიბერალები ყველაფერში ბრალს სდებენ სტალინს, მხოლოდ ერთი ბრალდებაა მათთვის მიუწვდომელი — მომხვეჭელობა. ფაქტები სულ არა. რა ჰქნან იმ საბრალოებმა? გამოიგონებენ რაღაცას. აი ხომ წერენ დღეს იაპონიის ისტორიის სახელმძღვანელოებში, რომ ბომბები ხიროსიმასა და ნაგასაკში ჩამოყარეს ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოებმა...

**აი ჩვეულებრივი სიტუაცია, როდესაც დიდ ქვეყანაში მისმა მეთაურმა არ იცის იმის შესახებ, თუ რა ხდება. ამ დროს ეს ხდება პირდაპირ მოსკოვში, ქვეყნის ხელმძღვანელმა, არა ვინმე სხვამ, არამედ სტალინმა, „ვინაც ყველაფერი უნდა იცოდეს“, არაფერი იცის. სსრ კავშირის ხელმძღვანელი ეკითხება ავიაკონსტრუქტორ იაკოვლევს, რა ხდება ომამდელ მოსკოვში. სტალინს უბრალოდ სურს, ისაუბროს „დღის წესრიგის გარეშე“. იაკოვლევი პასუხობს, რომ ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო საკითხი — ესაა ბულვარების განადგურება „სადოვოე კოლცოზე“. საუკუნოვან ცაცხვებს დაუნდობლად ჭრიან. მოსკოველები ძალიან განაწყენებული არიან ამის გამო და თავს იმტვრევენ, თუ რისთვის გაკეთდა ეს. ვრცელდება ბევრი ვერსია და ხმა.**

**— და რით ხსნიან ამას? — დაინტერესდა სტალინი.**

**— ზოგი ამბობს, რომ ეს კეთდება, რათა ომის შემთხვევაში ქალაქში ადვილად გადაადგილდნენ ჯარები და ტანკები. სხვები — რომ, კვლავ ომის შემთხვევაში, ხეები შეაგროვებენ მომწამლავ გაზებს. მესამენი ამბობენ, რომ უბრალოდ სტალინს არ უყვარს სიმწვანე და გასცა ბრძანება გაანადგურონ ბულვარები.**

**— რა სისულელეა! ვინ ამბობს, რომ ჩემი განკარგულებით?**

**— ბევრი ლაპარაკობს.**

**— მაინც?**

**— აი, ამ ცოტა ხნის წინათ მე ვიყავი მოსკოვის ერთ-ერთი არქიტექტურული სახელოსნოს ხელმძღვანელთან და ვუსაყვედურე სიმწვანის გაჩეხვის გამო. ის თავადაც აღშფოთებული იყო და მითხრა, რომ ეს გაკეთდა მითითებით, რომელიც თქვენ მიეცით მოსკოვის რეკონსტრუქციის გეგმის განხილვის დროს. ერთი სიტყვით, „სტალინის გეგმით“.**

**სტალინი შეშფოთდა:**

**— ჩვენ არავისთვის ასეთი მითითება არ მიგვიცია! საუბარი შეეხებოდა მხოლოდ იმას, რომ ქუჩები მოეყვანათ წესრიგში და თავიდან მოიშორონ ის დამჭკნარი მცენარეები, რომლებიც კი არ ალამაზებენ, არამედ ამახინჯებენ ქალაქის სახეს და ხელს უშლიან მოძრაობას.**

**— აი, ხომ ხედავთ, საკმარისი იყო რაიმე წამოგცდენოდათ, რომ ვიღაცებს გაენადგურებინათ საუკუნოვანი ცაცხვები...**

**სტალინმა მდუმარედ გამოცალა თავისი ჭიქა, გამოწია ჩემკენ ქაღალდის ფურცელი და ფანქრით ხელში დამიწყო ახსნა, თუ როგორ იყო საქმე. თურმე, მოსკოვის რეკონსტრუქციის გეგმის განხილვის დროს სტალინმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ ის იყო პირველ მეშჩანკაიას ქუჩაზე, რომელიც, როგორც მას მიაჩნია, არასასურველი გამწვანების მაგალითია. პირველი მეშჩანსკაის ქუჩა (დღეს მშვიდობის პროსპექტი) თავისთავად არ იყო ფართო, გვერდითაც გაჭიმული იყო პატარა გაზონები დაბეჩავებული მცენარეებით. ეს გაზონები ავიწროებდნენ ავტომობილების სამგზავრო ნაწილს და ტროტუარებს და მართლაც კი არ ალამაზებდნენ, არამედ ამახინჯებდნენ ქუჩას, ვინაიდან მთელი ბალახი მათზე იყო დატკეპნილი, ბუჩქები კი გაქერცლილი.**

**— მე ეს ვთქვი იმიტომ, — განაგრძო სტალინმა, — რომ ამიერიდან მოსკოვის ქუჩების კეთილმოსაწყობად არ მიიჩნიონ ამგვარი „გამწვანება“, ხრუშჩოვმა და ბულგანინმა კი ეს თავისებურად განმარტეს და მოიქცნენ ანდაზის შესაბამისად: „აიძულე გიჟი, ილოცოს უფლის მიმართ — ის კი შუბლს გაიხეთქავს“. აი, მოლოტოვი! რაც უნდა გააკეთონ, ყველაფერს ჩვენ გვაბრალებენ, ჩემი შენ გითხარიო, — გაიცინა სტალინმა“ (ა. ს. იაკოვლევი. ცხოვრების მიზანი).**

არაფერს მოგაგონებთ ეს სიტუაცია? არ არის გასაკვირი, რომ შემდეგ სტალინი „წყალში უბერავდა“. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დათვალიერების დროს ბელადმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ექსპონირებული პომიდორი გაფუჭდა, და როდესაც მანქანაში სხდებოდნენ, შეახსენა: „პომიდვრის დაკრეფა არ დაგავიწყდეთ! მაგრამ მხოლოდ პომიდვრისა — მეტი მე არაფერი მითქვამსო (თ. ჩუევი. ისტორიის ქარი).

ახლა კი მინდა მოგითხროთ ძალიან სერიოზული ისტორია. საშინელიც კი. ესა მოკავშირეებთან სტალინის იმ

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-106, 108, 112, 114-115, 117, 121-125, 131, 133, 135-139, 140-150, 154, 156**




დიპლომატიური ბატალიების გაგრძელება, რაზეც ჩვენ უკვე ბევრი ვილაპარაკეთ ამ წიგნის ფურცლებზე. 1941 წლის დეკემბერში მოსკოვში იდენის ვიზიტის შემდეგ სტალინური დიპლომატიის მთავარი ამოცანა გახდა 1941 წლის 22 ივნისის მდგომარეობით სსრ კავშირის საზღვრების აღდგენის იურიდიული აღიარება. საჭირო იყო ნამდვილი სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომლის დადებისგანაც, როგორც გვახსოვს, ინგლისელები ყოველნაირად ცდილობდნენ თავის არიდებას. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, პერლ-ჰარბორზე იაპონიის თავდასხმამდე ფორმალურად ნეიტრალურად მყოფ ქვეყანას ასეთი ხელშეკრულების დადება პრინციპულად არ შეეძლო. 1941 წლის დეკემბერში სიტუაცია პრინციპულად შეიცვალა — ამერიკის შეერთებული შტატები გახდა მებრძოლი ქვეყანა. მაგრამ ხელშეკრულება ძველებურად მაინც არ იყო, მოსკოვთან ურთიერთობა კი ხდებოდა ძირითადად ლონდონის მეშვეობით. და მეორე


ე. პუსეპი და ვ. მოლოტოვი

ფრონტის საკითხი კი სრულიად ჩაიფუშა ბრიტანული დიპლომატიის რყევაში. სტალინმა გადაწყვიტა, მოეწყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან შეხვედრა, რომელზეც სურდა, განეხილათ იმ მომენტში ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი ანგლოსაქსების მიერ ევროპაში რეალური საბრძოლო მოქმედებების დაწყების შესახებ. დავალებას — უზრუნველყოს გადაფრენა — სტალინი აძლევს შორეული მოქმედების ავიაციის მეთაურს ალექსანდრ გოლოვანოვს 1942 წლის მარტში. თავდაპირველად საკითხი შეეხება კვებეკში გადაფრენას, შემდეგ — ვაშინგტონში. ყველაზე უსაფრთხო მარშრუტად, რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, მიიჩნიეს ეს გადაფრენა ფრონტის ხაზზე: მოსკოვი — ლონდონი და შემდეგ ისლანდიისა და კანადის გავლით ვაშინგტონში. გერმანელები ძნელად რომ მიმხვდარიყვნენ, რომ სსრ კავშირის წარგზავნილები გაფრინდებიან სწორედ ასე. აირჩიეს კიდეც ეს ვარიანტი. თვითმფრინავ ტბ-7-ზე გზას ლონდონში მოსკოვიდან მაშინ დაახლოებით შვიდი საათი სჭირდებოდა. ამისთვის შეფარული საბაბით ლონდონში თვითმფრინავ ტბ-7-ით გაგზავნეს ეკიპაჟი, რომელიც საუკეთესო მფრინავებისგან შედგებოდა. ეკიპაჟს სათავეში ედგა მეტად გამოცდილი მფრინავი ასიამოვი. ამოცანა იყო — გაიგონ მარშრუტი, გასინჯონ იგი. იმის შესახებ, რომ შემდეგ უნდა გაფრინდნენ მოლოტოვთან ერთად ბორტზე, არც ერთმა მფრინავმა არ იცოდა. ის, რაც შემდეგ მოხდა, დაწვრილებით აღწერას ითხოვს.

სიტყვა ეძლევა მარშალ გოლოვანოვს, რომელიც პირადად ამზადებდა გადაფრენას სსრ კავშირის ხელმძღვანელის დავალებით:

**„ინგლისში ჩვენი მშვიდობიანად ჩაფრენის შესახებ მე მოვახსენე სტალინს. ჩვენ კმაყოფილი ვიყავით, რომ ჩვენი ვარაუდი გამართლდა. მაგრამ ჩვენი სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. ეტყობა, ლონდონში მათ, ვისაც ეს ეხებოდა, გაიგეს ჩვენი თვითმფრინავის ჩაფრენის ჭეშმარიტი დანიშნულება.**

**მეორე დღეს მაიორი ს. ა. ასიამოვი ჩვენი სამხედრო მისიის წევრების პოლკოვნიკ პუგაჩოვის, მე-2 რანგის ინჟინრის ბარანოვისა და ავიაციაში სამხედრო ატაშეს მაიორ შვეცოვის თანხლებით დილის 9 საათზე ლონდონიდან გაფრინდა ტილინგში „ფლამინგოს“ ტიპის ინგლისური თვითმფრინავით. თვითმფრინავში ჩვენი ამხანაგებისა და ინგლისელი ეკიპაჟის ოთხი წევრის გარდა იმყოფებოდნენ საჰაერო სამინისტროს კავშირგაბმულობის ოფიცერი ვილტონი და კავშირგაბმულობის ოფიცერი პოდპოლკოვნიკი ედმონდსი, ორივე — მზვერავი. თვითმფრინავი მშვიდობიანად ჩაფრინდა ტილინში, შემდეგ გაფრინდა ისტ-ფორჩუნში. იქიდან თვიმფრინავი გაფრინდა ლონდონში. იორკის რაიონში, ლონდონიდან 200 მილში, ის მოხვდა ავარიაში, რის შედეგადაც თვითმფრინავში მყოფი ათივე ადამიანი დაიღუპა. რა ავარია იყო ეს? თურმე, თვითმფრინავს ცეცხლი გაუჩნდა ჰაერში და დაიშალა ნაწილებად. ჩვენი ამხანაგები ამოიცნეს ტანსაცმლის ნარჩენების მიხედვით... ცხადი გახდა, რომ დიდ ბრიტანეთში ზოგიერთმა მაღალი რანგის პირმა იცოდა ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელების მომავალი შეხვედრის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან და აშკარად არ სურდათ ეს. ვინაიდან თავიდან აეცილებინათ ან გადაედოთ ეს შეხვედრა დიპლომატიური გზებით უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა, და ეს პირები წავიდნენ უკიდურეს ზომებზე იმის იმედით, რომ, თუ ვერ ჩაშლიან, ყოველ შემთხვევაში მისი გადადება მაინც შეიძლებოდა. ამ შეხვედრას ხომ უნდა გადაეწყვიტა საკითხი ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის შესახებ 1942 წელს, რასაც მხარს უჭერდა ამერიკის პრეზიდენტი რუზველტი და რისი კატეგორიული წინააღმდეგიც დიდი ბრიტანეთის პრემიერი უინსტონ ჩერჩილი იყო.**

**ყველაფერი გაკეთდა, როგორც საჭირო იყო: დაიღუპა ინგლისური თვითმფრინავის ეკიპაჟი, დაიღუპა ინგლისის სახელმწიფო უწყების ორი წარმომადგენელი. მომხდარი ამბის გამოკვლევისათვის დაინიშნა სპეციალური კომისია, რომელშიც მონაწილეობა ჩვენც შემოგვთავაზეს. უბრალო ადამიანებს ინგლისში შეეძლოთ, გულწრფელად დაეჯერებინათ მომხდარი უბედურება. ჩვენში ასეთი რწმენა არ ყოფილა... იყო საკმაოდ დასაბუთებული აზრი, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელების შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ჩვენს ინგლისელ კოლეგებს არ სურთ და ცდილობენ, ყველანაირად გადადონ სტალინის შეხვედრა რუზველტთან. ინგლისის ისტორიაში, როგორც ჩვენ ვიცით, ამგვარი „შემთხვევები“ არაერთხელ ყოფილა. რწმენა მოკავშირე სახელმწიფოს ტერიტორიაზე საბჭოთა ადამიანების უსაფრთხო ყოფნის შესახებ ნაადრევი აღმოჩნდა.**

**დივერსიის აზრი ასეთი იყო: ჯერ ერთი, როგორც ვხედავთ, ინგლისელების „გადაკვრით ნათქვამი“ მოსკოვში რუზველტთან პირდაპირი ურთიერთობის არასასურველობის შესახებ გაიგეს უთარგმნელადაც. მაგრამ მეთაურისა და ეკიპაჟის ნაწილის დაღუპვის შემდეგ თვითმფრინავი, რომლითაც უნდა მომხდარიყო გაფრენა, დარჩა უპილოტოდ. ახალი ეკიპაჟის ჩაყვანას ლონდონში დიდი დრო დასჭირდებოდა. ასე ეჩვენებოდათ, უკიდურეს შემთხვევაში, ინგლისელებს.**

**მომხდარმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სტალინზე. მან თავი გააქნია და თქვა: „კი, კარგი მოკავშირეები გვყავს, ვერაფერს იტყვი — ყოველმხრივ უნდა იყურებოდე“.**

**შემდეგ კვლავ გაჩუმდა და იკითხა:**

**— რა უნდა ვქნათ ახლა? რუზველტთან შეხვედრა აუცილებლად უნდა შემდგარიყო! კიდევ შეგიძლიათ რაიმე შემოგვთავაზოთ?**

**— შემიძლია, ამხანაგო სტალინ, — ვუპასუხე მე, ვინაიდან ეს საკითხი ჩვენ უკვე მოვიფიქრეთ! — მფრინავი პუსეპი, რომელიც ახლა ინგლისშია, არის ხომალდის კაპიტანი. ის პოლარული მფრინავია, რომელიც მიჩვეულია მრავალი საათის განმავლობაში ფრინავდეს ჩრდილოეთში, დაუჯდომლად, და ომის დროსაც მას უწევდა დიდხანს ყოფილიყო ჰაერში, ამიტომ ის მარტო მიიყვანს თვითმფრინავს სახლში. ჩვენ აქ შევავსებთ ეკიპაჟს, და შესაძლებელი იქ ნება გავუდგეთ გზას“ (ა. ე. გოლოვანოვი. შორეული ბომბდამშენი).**

მოხდა წარმოუდგენელი რამ — უზარმაზარი თვითმფრინავი აფრინდა ლონდონში და დაეშვა მოსკოვში, იგი მხოლოდ ერთ მფრინავს მიჰყავდა! მისი სახელია ენდელ კარლოს ძე პუსეპი. ესტონელი, საბჭოთა კავშირის გმირი. ორი კვირის შემდეგ სწორედ ის იჯდა თვითმფრინავის საჭევართან, რომლითაც ვიაჩესლავ მოლოტოვი გაემგზავრა ჯერ ლონდოში, შემდეგ კი ვაშინგტონში. კვალი რომ აებნიათ, დელეგაციას „მისტერ ბრაუნის მისია“ ეწოდებოდა.

მოლოტოვმა შეძლო, არა მხოლოდ ჩასულიყო ამერიკის შეერთებულ შტატებში და შეხვედროდა რუზველტს, არამედ დაედო სამოკავშირეო ხელშეკრულება დიდ ბრიტანეთთან, ის ხელშეკრულება, რომელმაც იარსება მთელი ომის განმავლობაში და შეწყვიტა მოქმედება მხოლოდ მაშინ, როდესაც დიდი ბრიტანეთისა და სსრ კავშირის გეოპოლიტიკური კურსები საბოლოოდ დაშორდნენ ერთმანეთს...

**თარგმნა**
**ზურაბ ლომიძე**
**(გაგრძელება იქნება)**

კოლეგა

# მართლაც, დამსახურებული!

**ხომ გსმენიათ, მითხარი, ვინაა შენი მეგობარი და გეტყვი, ვინა ხარ შენო.**

ჩვენი ძვირფასი კოლეგა **ვაჟა დანელია** აგერ უკვე თითქმის ნახევარი საუკუნეა სპორტთან მეგობრობს, ამიტომ სრულიადაც არ გაგვკვირვებია, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ მორიგი რეგალია




რომ მიანიჭა. სპორტის დამსახურებული მოღვაწე — ამიერიდან ამ წოდებითაც მოვიხსენიებთ ძველ ლელოელს, რომლის ძარღვიანი სტრიქონების გარეშე ჩვენი გაზეთის სპორტული გვერდიც წარმოუდგენელია. გაეცანით დღევანდელ ნომერს და თავად დარწმუნდებით, როგორი კალიბრის ჟურნალისტ-შემოქმედზე მოგახსენებთ.

თანამოკალმეთა და სპორტის სამყაროს სახელით კიდევ ერთ აღიარებას გილოცავთ, ბატონო ვაჟა!

**„სრ“ რედაქცია**

ჭიდაობა

# მეორე დღეს - „ბრინჯაო“

**ფინეთის ქალაქ ტამპერეში მიმდინარე ახალგაზრდა ფალავანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში გივი მაჭარაშვილმა ვერცხლის მედალი რომ მოიპოვა, ამის თაობაზე უკვე ვწერდით.**

ასპარეზობის მეორე დღეს საქართველოს ნაკრებს ბრინჯაოს მედალი ივერიკო ჯულაყიძემ (66 კგ) შეჰმატა. ჩვენებურმა საკვალიფიკაციოში იაპონელ კოჯირო შიგას (6:4) და ეგვიპტელ ამრ რედა რამადან ჰუსეინს (10:4) სძლია, მეოთხედფინალში რუსეთის ნაკრების წევრ დავით ბაევთან დამარცხდა (0:10). მესამე ადგილისთვის პაექრობაში კი ალჟირელ იშაკ ბუხორსსა (14:4) და სომეხ გევორქ მხეიანს (6:4) აჯობა.

5-6 აგვისტოს მედლებისთვის ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები იბრძოლებენ.

**გივი გაგუა**



სახელი

# ფინტების დიდოსტატი

*...ავტოინსპექტორმა ხელი ასწია და სასტვენს ჩაჰბერა. მანქანამ სვლა შეანელა და ზედ მილიციელის ფეხებთან გაჩერდა.*

*— წრეში შემოდი! — მოესმა ბრძანება.*

*არაფერი დაუშავებია და ვერ მიხვდა, რას ერჩოდნენ.*

*— მთელი ცხოვრება კალათბურთს ვთამაშობ და ლახტი არ მეხერხება, — გახუმრება სცადა.*

*— კალათბურთს კი არა, შენც ახლა დერიუგინი არ მყავდე...*

*— ჰო, დერიუგინი ვარ. აეროპორტში მიმეჩქარება, სტუმარს უნდა დავხვდე, — იმედი მიეცა, რომ არ შეაყოვნებდნენ.*

*— თავს ნუ გვაცოდებ... კოლიას ვიცნობ, ჩემი მეგობარია... გადმოდი მანქანიდან, რომ გეუბნები.*

*სხვა გზა არ იყო, უნდა დამორჩილებოდა.*

*— მე კი გადმოვალ, მაგრამ... არ დააბოლოვა.*

*კარი გაიღო და ავტოინსპექტორების წინ მთაკაცი წამოიმართა.*

*— ბიჭო, მართლა დერიუგინი ჩანს, გავუშვათ, - ჩაულაპარაკეს ერთმანეთს...*

*უკონფლიქტოდ დაშორდნენ. თუმცა, ერთხელ დაჯარიმებას მაინც ვერ ასცდა:*

*...გზაზე მოძრაობის წესები დავარღვიე და პატრულმა გამაჩერა. — იხსენებს ნიკოლოზ დერიუგინი. — ოქმს რომ ავსებდა, ერთ-ერთი უცებ შემომაჩერდა — შენ კალათბურთელი ხომ არა ხარო, მკითხა. თავი დავუქნიე. პირადობის მოწმობას დახედა. რომ მცოდნოდა, დერიუგინი იყავი, ამ ფურცლის შევსებას არ დავიწყებდი, რადგან ბაბუაჩემი შენი ფანი იყოო. აწი არაფერი ეშველება, მაგრამ იაფად გამოგიყვანო, მითხრა და ათლარიანი ჯარიმა გამომიწერა.*

## ვენური სკამიდან – „დინამოში“

„ეზოში ვენური სკამი გვქონდა ხეზე მიმაგრებული — კალათის მოვალეობას ასრულებდა, სადაც ბიჭები ბურთის ტყორცნაში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. მამაჩემს მეგობარმა ურჩია, კალათბურთის სექციაზე ზაურ ჩარკვიანთან მივეყვანე. ერთი წლის შემდეგ ჩემი თავი სულიკო თორთლაძეს ჩააბარეს... მე-10 კლასში ვსწავლობდი, ლევან მოსეშვილმა „დინამოს“ დუბლებში რომ ამიყვანა. 1975 წელს იუნიორთა საკავშირო ნაკრებში მიმიწვიეს და გენადი კაპუსტინთან ერთად ევროპის ჩემპიონი გავხდი. მომდევნო წელს მსგავს წარმატებას ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად მივაღწიე“.



არვიდას საბონისი, ალექსანდრე კოტორაშვილი და ნიკოლოზ დერიუგინი. 2016 წელი

ნიკოლოზ დერიუგინი 1956 წელს დაიბადა ქუთაისში. კალათბურთის თამაში 7 წლისამ დაიწყო. თბილისის „დინამოში“ 1975 წელს ჩაირიცხა და 10 წლის განმავლობაში იცავდა მის ღირსებას. სხვადასხვა წლებში თამაშობდა „თბილისში“, უნგრეთის „მუფკში“, თბილისის „ვითასა“ და სდასუში, სლოვაკეთის „სლოვაკოფარმაში“.

საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოდიოდა 1978-1985 წლებში, ორი წელიწადი საქართველოს ნაკრებშიც იყო. 1975 წელს ჭაბუკებში გახდა ევროპის ჩემპიონი, შემდეგ ორჯერ ახალგაზრდებში მიაღწია მსგავს წარმატებას. 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი 1982 წლის მსოფლიოს, 1981 წლის ევროპის ჩემპიონი და საკონტინენტთაშორისო თასის ორგზის მფლობელი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს (1977) პრიზიორია.

მახსოვს, სპორტის სასახლეში ქომაგები მისი თამაშის საყურებლად დადიოდნენ.

## რეკორდი

...ყველაზე მეტად ჩემს მეხსიერებას 1977 წელი შემორჩა — ლევან მოსეშვილმა 14 იანვარს პირველად მანდო ადგილი „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში. სვერდლოვსკის „ურალმაშს“ ვეთამაშეთ და 81:63 მოვუგეთ. იმ დღეს 18 ქულა მოვაგროვე... სენსაციური მაინც საკავშირო ჩემპიონატის ლიდერ მოსკოვის ცსკა-სთან მატჩი გამოდგა: მართალია, 100:110 წავაგეთ, მაგრამ იმ შეხვედრაში საკუთარ გუნდს 57 ქულა შევძინე, თანაც 17-ვე საჯარიმო ჩავაგდე.

თამაშის წინ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა გამაფრთხილა - სერგო კოვალენკოს სიმაღლეში ვერ დაჩაგრავ, ამიტომ ფეხებში „ჩაუჯექი“, წონასწორობას დაკარგავს და სისწრაფით დაჯაბნიო. ყველა რჩევა გავითვალისწინე და მიზანსაც მივაღწიე - კოვალენკომ 36-ე წუთზე 5 საჯარიმოთი მოედანი დატოვა. იგივე ბედი ეწიათ მიშკინსა და ლოპატოვსაც.

მერე წლებმა გამომაწრთო და გამოცდილებაც შევიძინე. ამის მიუხედავად, ძალიან მიჭირდა საკავშირო ჩემპიონატში ვლადიმირ ტკაჩენკოსთან გამკლავება. კეთილი გულის პატრონი კი იყო, მაგრამ მოედანზე სულ დაბღვერილი გამოიყურებოდა, თუმცა, სხვებივით ძალად უხეშობას ერიდებოდა. შეცდომები თუ მოსდიოდა, მხოლოდ მოუქნელობით. ჩემთან ბრძოლისას ხშირად იღებდა 5 ჯარიმას და ნაადრევად ეთიშებოდა თამაშს. ერთხელ თბილისში საკავშირო ჩემპიონატის მატჩისას მთელი პაექრობის განმავლობაში ვერაფერი გავაწყვე მასთან - დაცვაშიც მაჯობა და თავდასხმაშიც. ერთ-ერთი იერიშის მოგერიებისას სიმწრისგან ვუჩქმიტე. ძალიან გაბრაზდა და ხელი მკრა. მსაჯებმა ორივეს დაგვატოვებინეს მოედანი. ულიდეროდ დარჩენილი „სტროიტელის“ ძლევა „დინამოს“ არ გასჭირვებია“.

## სიმაღლე

„დიდ სარბიელზე ათი წელიწადი გამოვდიოდი. ყველაზე მეტად რამ გამახარა? 1982 წელს მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვებამ. მას შემდეგ 35 წელი გავიდა. ქვეჯგუფის თამაშები მედელინში გაიმართა, ხოლო ფინალური ორთაბრძოლები კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში იყო დანიშნული — ზღვის დონიდან 2300-2400 მეტრზე, ღრუბლებს მაღლა, სადაც სუნთქვა ჭირდა. კიდევ კარგი, რომ გადაიფიქრეს და ორგანიზატორებმა ორთაბრძოლები კალიში (1100 მ) გადაიტანეს. ფინალში ამერიკელებს დავუპირისპირდით „გიმნასიო დელ პუებლოს“ 30-ათასიან დარბაზში. შვიდი წუთი დავყავი მოედანზე და ყველაზე გადამწყვეტ მომენტში 7 ქულა შევძინე გუნდს. საბჭოთა ნაკრებმა დაძაბულ ბრძოლაში 95:94 გაიმარჯვა და პირველი ადგილი დაიკავა, ისევე, როგორც წინა წელს პრაღაში ევროპის ჩემპიონატზე“.

## დერიუგინის პრობლემა

ნებისმიერ მატჩში მეტოქე გუნდის მწვრთნელებს დერიუგინის პრობლემის გადაჭრა უჭირდათ. 1977 წლის 30 იანვარს კიევის „სტროიტელთან“ მოგებული (77:76) მატჩის შემდეგ გაზეთი „ლელო“ წერდა: „დერიუგინის მოედანზე ყოფნა ფსიქოლოგიურადაც ბოჭავდა გუნდს და ფიზიკურადაც... მე-8 წუთზე ტკაჩენკომ ოთხი ჯარიმა ისე მიიღო, რომ ქულაც არ ჰქონდა აქტივში. მწვრთნელებმა, ცხადია, იგი ბელოსტენნით შეცვალეს. მერე უკვე ბელოსტენნიც დაადგა თავისი ამხანაგის გზას. ამ ფსიქოლოგიური ფენომენის ტყვეობას ვერაფრით დააღწია თავი ლუშჩენკომაც... ისიც სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა“...

ახლა კალათბურთის გამოჩენილ სპეციალისტ ალექსანდრ გომელსკის მოვუსმინოთ: „კოლია“ თავდასხმაში უფრო საინტერესოდ და მრავალმხრივად მოქმედებდა, ვიდრე მაშინდელი ჩვენი ცენტრები, მათ შორის — საბონისი. ერთ-ერთ ინტერვიუში „ჟალგირისის“ მთავარმა მწვრთნელმა ვლადას გარასტასმა თქვა კიდეც — ცუდი არ იქნებოდა, არვიდასს მრავალმხრივი თამაში ნიკოლოზ დერიუგინისგან ესწავლაო.



და ეს იყო სიმართლე, რადგან კოლიას თავის არსენალში ჰქონდა ბურთის „კაუჭით“ ტყორცნა, ფინტები, შეეძლო მეტოქისთვის მაშინაც ეჯობნა, როცა ფარისკენ ზურგით იდგა. შესანიშნავად ხედავდა მოედანს და, რაც მთავარია, ბურთს უფრთხილდებოდა. ისეთ გიგანტებს, როგორებიც იყვნენ ტკაჩენკო, კოვალენკო, სილანტიევი, ლოპატოვი, გრიშაევი და სხვები, დერიუგინი ფინტებით ატყუებდა და ისინიც იძულებული ხდებოდნენ, პერსონალური ჯარიმები მიეღოთ...

ნიკოლოზ დერიუგინის ვარსკვლავი 1982 წელს კოლუმბიის მსოფლიოს ჩემპიონატზე ამობრწყინდა. ვიტყვი მეტსაც — რომ არა კოლია, არ ვიცი, ოქროს მედლებს მოვიპოვებდით თუ არა. ამერიკელებთან ფინალური მატჩის მეორე ტაიმში შეხვედრას ექვსი ქულით ვაგებდით. სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში დერიუგინს ვუთხარი — „გახურდი, მოედანზე გახვალ“...

და კოლია გავიდა მოედანზე, რათა საკალათბურთო მატიანეში სამუდამოდ დაეტოვებინა საკუთარი სახელი... დერიუგინმა წონასწორობა აღადგინა. რაც მთავარია, თანაგუნდელებს მატჩის მოგების რწმენა დაუბრუნა“.

## ნაადრევი ფინიში

„კარიერაში სიხარულთან ერთად გულიც ხშირად დამწყვეტია. ყველაზე დიდი იმედგაცრუება ის იყო, რომ 1980 წელს ოლიმპიური ჩემპიონობა ვერ მოვიპოვეთ. ამერიკელებმა მოსკოვს ბოიკოტი რომ გამოუცხადეს, შეჯიბრების დაწყებამდე თავი გამარჯვებულებად მივიჩნიეთ და დავისაჯეთ კიდეც: ორი მატჩი დავთმეთ — იუგოსლავიელებსა და იტალიელებთან. სამხრეთ სლავებს უძლიერესი ხუთეული ჰყავდათ — ჩოსიჩი, დელიბაშიჩი, დალიპაგიჩი, ერკოვი და კიჩანოვიჩი, აპენინელთა ღირსებას კი დიდი მენეგინი იცავდა. საბოლოოდ მესამე ადგილს დავჯერდით. ასევე, ბრინჯაო გვხვდა 1983 წლის ევროპის ჩემპიონატზე.

1982 წელს მძიმე ტრავმა მივიღე და იძულებული გავხდი, 26 წლისას დიდ სპორტზე უარი მეთქვა, თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ კვლავ დავუბრუნდი მოედანს — ნოდარ ქორქიამ ვეტერანი კალათბურთელებისგან გუნდი ჩამოაყალიბა — „თბილისი“, რომელიც ეროვნული ჩემპიონატის ფინალში „ვითას“ დაუპირისპირდა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, კვლავ სავსე სპორტის სასახლე რომ ვიხილე. მერე „ვითას“ შემადგენლობაში საქართველოს ჩემპიონიც გავხდი... დღესაც დიდი კალათბურთით ვცოცხლობ“.

**ვაჟა დანელია**

# ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი № 1** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გზის ინფრასტრუქტურის დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება.<br>ვ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.<br>ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით.<br>თ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.<br>ი) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა.<br>კ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>მ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. კირცხის (სოფ. სარაქონი) მიმდებარე ტერიტორიაზე, „კირცხის" თიხიანი კონგლომერატის გამოვლინება (კატეგორია - P , მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 8 700 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. კირცხის (სოფ. სარაქონი) |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 2 118 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 211,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 259 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 7 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 5 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 5 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 5 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 2** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვება განახორციელოს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გზის ინფრასტრუქტურის დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.<br>ე) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ლეწურწუმეს მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხობისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 165 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ლეწურწუმეს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 22 124 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2 212,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 11 262 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 7 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 5 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 5 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 5 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 3** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 223 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის დამუშავების შემდგომი რეკულტივაციის მიზნით, ისე რომ არ მოხდეს ქანების ჩაყრა მდ. ყვირილას მარცხენა უსახელო შენაკადის კალაპოტში.<br>გ) ობიექტის დამუშავება უნდა წარმოებდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული ნორმებისა და წესების სრული დაცვით.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია.<br>ვ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა.<br>თ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს |

| | | |
|---|---|---|
| | | დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>კ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფ. წიფლავაკეს მიმდებარე ტერიტორია, „წიფლავაკეს“ გრანიტის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 50 500 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფ. წიფლავაკეს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 9 480 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 948 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 4 940 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 7 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 5 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 5 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 5 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 4** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვება განახორციელოს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებების დროს, საჭიროების შემთხვევაში, სამუშაოები წინასწარ შეათანხმოს კომპანია „ბი-პი საქართველოსთან“.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. შუა ბაშის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონზე „ჭყვიშის“ ქვიშა-ხრეშის საბადო, (კატეგორია $C_1$+P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 142 500 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. შუა ბაშის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 19 107 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 910,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 9 754 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 7 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 5 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 5 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 5 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 5** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვება განახორციელოს მდინარის ჭალა-კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.<br>ე) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს მოსახლეობის სახნავ-სათესი მიწები და პირუტყვთა საძოვრები.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა |
| | | მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. დიდი ჯიხაიშის (სოფ. იანეთი) მიმდებარე ტერიტორია, მდ. გუბისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 436 500 $მ^3$ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ.დიდი ჯიხაიშის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 58 529 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 5 852,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 29 465 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 7 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 5 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 5 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 5 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 6** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 |

| | | |
|---|---|---|
| | | ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის ჭალა-კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) საშუალო წლიური მოპოვების სიღრმე, ობიექტის მთელ ფართობზე არ უნდა აღემატებოდეს 1.5 მეტრს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ''გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა ბაშის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 384 300 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა ბაშის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 51 529 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 5 152,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 25 965 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 7 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 5 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 5 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 5 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 7** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის ჭალა-კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ''გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. კუჭეჯას მიმდებარე ტერიტორია, მდ. ფშავის არაგვის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 28 800 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. კუჭეჯას მიმდებარე ტერიორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 682 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 468,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 541 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 7 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 5 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 5 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 5 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 8** | | |
| | | დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწყობა, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და შემოღობვა.<br>ზ) სალიცენზიო ობიექტიდან უნდა აღიკვეთოს წყლის უმიზნოდ დაღვრა.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. საბუეს ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - $C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 50 000 $მ^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. საბუეს ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 503 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 50,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 452 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 7 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 5 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 5 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 5 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

# მიუნხენში საქართველოს საკონსულო წარმომადგენელი ეყოლება



**მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ორ მიწაზე — ბავარიასა და ბადენ-ვიურტემბერგში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს საქართველოს კონსული მოემსახურება. საკონსულო წარმომადგენელი ქ. მიუნხენში, საქართველოს საპატიო კონსულის ხელმძღვანელობით მოქმედ საკონსულო დაწესებულებაში განთავსდება და ბავარიასა და ბადენ-ვიურტემბერგში მცხოვრებ თანამოქალაქეებს გაუწევს საკონსულო მომსახურებას.**

აღნიშნული გადაწყვეტილება საგარეო უწყებამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ამ რეგიონებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების რაოდენობიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე მიიღო.

ახლად დანიშნული კონსული საქართველოს ელჩმა ლადო ჭანტურიამ პირადად გააცნო საქართველოს საპატიო კონსულს კლაუს ჰიპსა და მიუნხენში ქართული სათვისტომოს თავმჯდომარეს ლერი დათაშვილს.

# მსოფლიოში ამოცნობის ყველაზე მაღალი სიზუსტე

**ცნობილი იაპონური ტრანსნაციონალური კომპანია NEC Corporation, რომელიც მსოფლიოში სატელეკომუნიკაციო მოწყობილობების ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი ოპერაციების ცენტრის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს. კომპანიის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია, რომ NEC Corporation-მა, შპს „კაპიტალ სისტემს"-თან თანამშრომლობით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის სახის ამოცნობის მოწინავე სამეთვალყურეო სისტემის მიწოდება უზრუნველყო.**

სტატიის თანახმად, აღნიშნული სისტემა საქართველოში მიმდინარე წლის ივნისში, თბილისსა და ქვეყნის სხვა დიდ ქალაქებში ამოქმედდა. პროგრამის გააქტიურება საწყის ეტაპზე 400 ვიდეოსამეთვალყურეო კამერაზე იგეგმება.




სისტემა იყენებს რეალურ დროში ვიდეოს სახის ამოცნობის პროგრამულ უზრუნველყოფას — NeoFace Watch-ს, რომელიც მსოფლიოში ამოცნობის ყველაზე მაღალი სიზუსტით გამოირჩევა. პროგრამა კამერებით დაფიქსირებულ სურათებს ეჭვმიტანილების და სისტემაში დარეგისტრირებული სხვა პირების სურათებთან ადარებს, რაც საშუალებას იძლევა, სწრაფად და ზუსტად მოხდეს პირების იდენტიფიცირება. აღნიშნული სისტემა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პროექტის — „უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო რეგიონი, უსაფრთხო ქვეყანა" ფარგლებში დაინერგა, რომლის მიზანია საზოგადოებრივი უსაფრთხოების გაუმჯობესება.

# იზრდება ვიზიტორების რაოდენობა

**დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობა 2017 წლის პირველ 7 თვეში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 35%-ით გაიზარდა.**

2017 წლის 7 თვის მონაცემებით, ვიზიტორების 61% (301 557 ვიზიტორი) ქართველი, ხოლო 39% (188 352 ვიზიტორი) უცხოელია. ქართველი ვიზიტორების რაოდენობა 2016 წლის 7 თვესთან შედარებით 28%-ით, ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 45%-ითაა გაზრდილი.

უცხოელ ვიზიტორებს შორის ყველაზე მეტი ვიზიტორი გვესტუმრა გერმანიიდან, ისრაელიდან, პოლონეთიდან, უკრაინიდან და რუსეთიდან.

ვიზიტორთა სტატისტიკის მიხედვით, 2017 წელს ყველაზე მეტი ვიზიტორი პრომეთეს მღვიმეს (81 110), მარტვილის კანიონს (74 580), ყაზბეგის ეროვნულ პარკს (72 102), სათაფლიას (55 815) და ოკაცეს კანიონს (38 088) ესტუმრა.

2016 წელს ვიზიტორთა ცენტრისა და თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურის მოწყობის შემდეგ ვიზიტორთა რაოდენობის განსაკუთრებული ზრდა აღინიშნება მარტვილის კანიონზე.

3 500 000 ლარი შეადგინა კანიონის მიმდებარედ განვითარებული ადგილობრივი ბიზნესის შემოსავალმა. 50-დან 120-მდე გაიზარდა მარტვილის კანიონში და მის მიმდებარედ დასაქმებულთა რაოდენობა. 2016 წლამდე მუნიციპალიტეტში სულ 10 სასტუმრო ფუნქციონირებდა. დღეს მათი რიცხვი 25-ია.

# ჯაბა სამუშიას ინიციატივით თემქაზე სპორტული მოედანი მოეწყო



**თბილისის საკრებულოს წევრმა ჯაბა სამუშიამ და ნაძალადევის რაიონის გამგებელმა ირაკლი ხელაძემ თემქაზე განახლებული სპორტული მოედანი გახსნეს.**

სტადიონი, რომელიც ზღვის უბნის (თემქა) მე-3 მ.რ მე-2 კვარტალის 33-ე კორპუსის წინ მდებარეობს, წლების განმავლობაში განადგურებული იყო.

ჯაბა სამუშიას შუამდგომლობის საფუძველზე, აღნიშნული სპორტული მოედნის სრული რეაბილიტაცია კერძო ინვესტორის დაფინანსებით განხორციელდა. მაჟორიტარმა და გამგებელმა განახლებული სპორტული მოედანი ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად დაათვალიერეს და მათ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია. ასევე, მიმდებარე ტერიტორიაზე, მე-3 მ.რ მე-2 კვარტალის 31-ე და 32-ე კორპუსებს შორის მეორე სტადიონსაც ჩაუტარდა რეაბილიტაცია. პროექტი ნაძალადევის რაიონის გამგეობის დაფინანსებით განხორციელდა.

# თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის

**ბრძანება №866**

„02“ აგვისტო 2017 წ. ქ. თელავი

## საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-14 მუხლის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. გამოცხადდეს უპირობო საჯარო აუქციონი თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის (შემდგომ ტექსტში - თელავის მუნიციპალიტეტი) საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით დანართ №1-ში მითითებულ ობიექტებზე;

2. დამტკიცდეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ ინფორმაცია დანართი №2-ის შესაბამისად;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

*დანართი №1*

**თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა**

1. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.08.42.317, 1028 კვ.მ).

2. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.08.42.266, 1221 კვ.მ).

3. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ შალაურში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.06.34.444, 2273 კვ.მ).

4. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ნასამხრალში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.04.42.097, 4148 კვ.მ).

5. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაფარეულში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.14.49.076, 30 948 კვ.მ).

6. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ართანაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.15.35.127, 26 529 კვ.მ).

7. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.10.35.100, 19 378 კვ.მ).

8. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.11.38.248, 26 000 კვ.მ).

2. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა. შევსებული განაცხადი;

ბ. „ბე“–ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. ლიბერთი ბანკი,ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE90LB0120153513276003, მიმღების დასახელება: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი;

გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი 300863282;

დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან ასეთ პირთა გაერთიანებას,რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

4. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

5. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი“-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

6. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს აუქციონის გამოცხადების დღიდან, 2017 წლის 03 აგვისტოდან 2017 წლის 01 სექტემბრამდე, ყოველ სამუშაო დღეს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 09:00 საათიდან 12:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2017 წლის 01 სექტემბერს დღის 13:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქალაქი თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №16).

7. დამატებითი ინფორმაცია ობიექტისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქალაქ თელავში, ერეკლე II-ის გამზირ №16-ში მდებარე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე, ტელ: 0350 – 23 – 21- 90.

გამგებელი **ალექსანდრე შათირიშვილი**





# ღირსშესანიშნაობები, რომლებიც ტურისტებს აჭარაში იზიდავს

**აჭარა საქართველოს მცხოვრებთათვის, პირველ რიგში, ზღვისპირა კურორტია, სადაც სწორედ მზიანი ამინდისა და წყნარი ზღვის საპოვნელად ჩადიან. თუმცა იმას, თუ რომელი ღირსშესანიშნაობები იპყრობს, ასევე, ტურისტთა ყურადღებას და, სანაპიროს გარდა, სად შეიძლება ვიხილოთ დასასვენებლად ჩასული ვიზიტორები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი გვამცნობს.** მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ივნისში აჭარაში ტურისტულად მიმზიდველ ადგილებში ვიზიტორების განსაკუთრებული მატებაა. როგორც აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტიდან იუწყებიან, ბათუმის **ბოტანიკური ბაღი** პირველია იმ ტურისტულ ადგილებს შორის, რომელსაც ივნისში ყველაზე მეტი – 33 891 -ვიზიტორი სტუმრობდა, რაც 31 %-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდს.



ბოტანიკური ბაღის სტუმრების რაოდენობა გაზრდილია 6 თვის მონაცემების მიხედვითაც. 2017 წლის იანვარ-ივნისში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ბაღში 6 %-ით მეტი, 75 660 ვიზიტორი, იმყოფებოდა.

**„ბოტანიკური ბაღი ბათუმიდან 9 კილომეტრში მდებარეობს და საუკეთესო საშუალებაა მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტისთვის დამახასიათებელ მცენარეებში დასვენება-სეირნობისთვის“,** – აცხადებენ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტში.

მათივე ინფორმაციით, ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია **ბათუმის დელფინარიუმშიც,** რომელსაც ივნისში 19 586 ადამიანი სტუმრობდა. ივნისის მონაცემები 38 %-ით (5 342 ადამიანი) აღემატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდს. რაც შეეხება 6 თვის მონაცემებს, იანვარ-ივნისში დელფინების შოუსა და, ზოგადად, დელფინარიუმს 44 %-ით მეტი – 31 778 ადამიანი – სტუმრობდა.

**„აღსანიშნავია, რომ დელფინების შოუ ივნისში ყოველდღიურად (ორშაბათის გარდა) დღეში ორჯერ იმართებოდა, ივლისსა და აგვისტოში კი, დიდი მოთხოვნიდან გამომდინარე, მესამე შოუც დაემატა“,** – აცხადებენ აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტში.

მათივე ინფორმაციით, ივნისში 19 %-ით მეტი ვიზიტორი სტუმრობდა **გონიო-აფსაროსის ციხესაც,** რომელიც რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კულტურულ-ისტორიული ღირსშესანიშნაობაა. 2017 წლის ივნისში ციხე-მუზეუმში არსებულ კულტურულ მემკვიდრეობას 10 691 ვიზიტორი გაეცნო. რაც შეეხება 6 თვის მონაცემებს, ის 3 %-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდს და 19 881 ადამიანს შეადგენს.

**„სტუმრების რაოდენობა გაზრდილია მტირალას ეროვნულ პარკშიც, რომელიც აჭარაში არსებული ეროვნული პარკებიდან უცხოელ ტურისტებს შორის ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს. 2017 წლის ივნისში ეროვნულ პარკს 30 %-ით მეტი, 6 283 ვიზიტორი, სტუმრობდა, ექვსი თვის მონაცემებით კი, სტუმარი 14 021 ადამიანი იყო, რაც 63 %-ით აღემატება 2016 წლის ანალოგიურ პერიოდს. პარკი ვიზიტორებს, გარდა ულამაზეს ბუნებაში მოგზაურობისა, ზიპლაინის სერვისსა და საკემპინგე მომსახურებას სთავაზობს“.**

აჭარაში ყველაზე მეტმა ვიზიტორმა **საბაგიროს** მომსახურებით ისარგებლა. ივნისში ბათუმისთვის მთიდან გადმოხედვის მსურველთა რიცხვი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 61 %-ით გაიზარდა და მათმა რაოდენობამ 37 211 ადამიანი შეადგინა. გაზრდილია 6 თვის მონაცემებიც. 2017 წლის იანვარ-ივნისში ბათუმის საბაგიროთი 86 373 ვიზიტორმა ისარგებლა, რაც 12 %-ით აღემატება 2016 წლის მონაცემებს. ჯამში, 2017 წლის 6 თვეში აჭარას ნახევარ მილიონზე მეტი – 583 340 – ვიზიტორი სტუმრობდა.

**ნინო ევგენიძე**






# განცხადება

2017 წლის 28 სექტემბერს 13 საათზე, ქ. გარდაბანში, დავით აღმაშენებლის ქ. №129-ში (შპს „გარდაბანპროექტი“-ს ოფისში), გაიმართება შპს „სკინჩი“-ს დაქვემდებარების საწარმოო ობიექტის – ასფალტის ქარხნის, რომელიც მდებარეობს მისამართზე: გარდაბნის რაიონი, სოფელი გამარჯვება, ს/კ 81.07.08.421, გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

აღნიშნული საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ასფალტის წარმოება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

– გარდაბნის რაიონი, სოფელი გამარჯვება (საწარმოს ტერიტორია).

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი: 577 44-21-33

**ადმინისტრაცია, შპს „სკინჩი“**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნუგზარ იაკობიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნუგზარ იაკობიძე (პ/ნ 54001005934), ჭიათურა, ს. ითხვისი.
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქუთაისი, სულხან-საბას გამზ. №45 (ყოფ. მშენებლის ქ.), ბინა №88 (საკადასტრო კოდი: 03.05.01.104.01.088).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 14387.02 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 5 აგვისტო, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 23 აგვისტო, 14:15 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP46153017;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 461530
6. **მოვალე:** ვალერიანე ჯანელიძე (პ/ნ 53001009494), წყალტუბოს რ-ნი, ვარციხეჰესის დასახლება.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი",ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP46153017; ლოტის ნომერი: 461530).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 23 აგვისტოს, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

---

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს მარიამ ქებაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მარიამ ქებაძე (პ/ნ 47001035685), ქუთაისი, მ. ბალანჩივაძის 2/4.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქუთაისი, მ. ბალანჩივაძის 2-4, სართული 2 (საკადასტრო კოდი: 03.06.03.278.01.515).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" გარდამავალი პირველი რიგის იპოთეკის უფლება, რომლის ღირებულება შეადგენს 0 ლარს.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 10017.98 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 5 აგვისტო, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 23 აგვისტო, 14:15 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP46151817;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 461518
6. **მოვალე:** მარიამ ქებაძე (პ/ნ 47001035685), ქუთაისი, მ. ბალანჩივაძის 2/4;
გუგუ ქაჯაია (პ/ნ 37001017111), სამტრედია, სოფელი ღანირი.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი",ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP46151817; ლოტის ნომერი: 461518).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 23 აგვისტოს, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

---

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს როლანდ ბორჩაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** როლანდ ბორჩაშვილი (პ/ნ 08001010149), ახმეტა, სოფელი ჯოყოლო.
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ახმეტა, სოფელი ჯოყოლო (საკადასტრო კოდი: 50.07.32.042).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 13179.82 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 5 აგვისტო, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 23 აგვისტო, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP46151217;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 461512
6. **მოვალე:** ზურაბ ბალაკაშვილი (პ/ნ 08201040441), ახმეტა, სოფელი დუისი;
პაატა გუმაშვილი (პ/ნ 08001010234), ახმეტა, სოფელი ჯოყოლო;
ნურდი გაურგაშვილი (პ/ნ 08001022964), ახმეტა, სოფელი დუისი, მე-5 მე-13 შესახვევი №2.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი",ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP46151217; ლოტის ნომერი: 461512).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 23 აგვისტოს, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

---

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს მამუკა ნიკურაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მამუკა ნიკურაძე (პ/ნ 37001011340), სამტრედია, თბილისის ქ. №16.
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. ფოთი, სანაპირო მალთაყვა №8, სართული 4, ბინა №31 (საკადასტრო კოდი: 04.02.12.612.02.031).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 8179.50 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 5 აგვისტო, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 23 აგვისტო, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP46151317;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 461513
6. **მოვალე:** მამუკა ნიკურაძე (პ/ნ 37001011340), სამტრედია, თბილისის ქ. №16.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი",ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP46151317; ლოტის ნომერი: 461513).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 23 აგვისტოს, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნუნუ ჩხეიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნუნუ ჩხეიძე (პ/ნ 01026014685), თბილისი, კოსტავას 85.
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, ზ. ბენდელიანის ქუჩა, კორპუსი 3 (კოსტავა ქ. 67.85), ბინა №3 (საკადასტრო კოდი: 01.10.13.041.006.01.003).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 51665.18 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 5 აგვისტო, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 23 აგვისტო, 14:15 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP46152317;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 461523
6. **მოვალე:** ილია ქარქაშაძე (პ/ნ 01026012555), თბილისი, ზ. ბენდელიანის ქ. №3, ბინა №3;
ნოდარი ქარქაშაძე (პ/ნ 01026012572), თბილისი, ზ. ბენდელიანის ქ. №3, ბინა №3;
ნუნუ ჩხეიძე (პ/ნ 01026014685), თბილისი, კოსტავას 85
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP46152317; ლოტის ნომერი: 461523).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 23 აგვისტოს, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ავთანდილ ნემსაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ავთანდილ ნემსაძე (პ/ნ 33001031911), ოზურგეთი, სოფელი მთისპირი.
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ოზურგეთი, გრიბოედოვის №27, სართული 5, ბინა №15 (საკადასტრო კოდი: 26.26.48.069.01.015).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 8007.45 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 5 აგვისტო, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 23 აგვისტო, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP46151717;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 461517
6. **მოვალე:** ავთანდილ ნემსაძე (პ/ნ 33001031911), ოზურგეთი, სოფელი მთისპირი.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP46151717; ლოტის ნომერი: 461517).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 23 აგვისტოს, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

## გამოსათხოვარი

**მეუღლე ელიზბარ, შვილები ეკა, ლევან ერისთავები, რძალი რუსიკო მეძმარიაშვილი, სიძე ირაკლი როსტომაშვილი, შვილიშვილები ქეთი, გიორგი როსტომაშვილები, სანდრო ერისთავი, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**



### ქეთევან ჩხეიძე-ერისთავი

**დაკრძალვა 5 VIII, 14 სთ. ჭავჭავაძის 37 ᵃ (თურქეთის საელჩოსთან) I სად. III სართ.**

---

**ვაჟა მეტრეველი ოჯახით მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს ბატონ ელიზბარ ერისთავს მეუღლის**

### ქეთევან ჩხეიძე-ერისთავის

**გარდაცვალების გამო.**

---

**ნანული (ნანა) გუნია, მთვარისა კერესელიძე ოჯახებით დიდი გულისტკივილით მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი ადამიანი, ჭეშმარიტი მამულიშვილი**

### გურამ გრიგოლის ძე კაკულია

**და თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს, ქალბატონ ლეილა ლოლუას და შვილებს ირაკლი და ვახტანგ კაკულიებს.**

# პოლიტიკური სამიზნეები

**სპეცსამსახურებმა, რომლებიც სახელმწიფოში პირველ პირთა დაცვას ახორციელებენ, ვალდებული არიან ყველა შესაძლო რისკი გაითვალისწინონ. ისტორიაში იმის უამრავი მაგალითია, როცა ლიდერებს გზაში ესხმოდნენ თავს. ასეთ პოლიტიკურ მკვლელობათა შორის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებულია 1914 წელს სარაევოში ავსტრიის ერცჰერცოგ ფრანც-ფერდინანდის მკვლელობა, რაც პირველი მსოფლიო ომის დაწყების ოფიციალურ მიზეზად იქცა.**



1963 წელს სნაიპერ ლი ოსვალდის მსხვერპლი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი **ჯონ ფ. კენედი.** ამ ტრაგედიის შემდეგ ამერიკელი პრეზიდენტები ღია ლიმუზინებით აღარ გადაადგილდებიან. ამჟამად დაჯავშნილი ავტომანქანებით მგზავრობისას ყველა საფრთხილო მომენტები მანქანაში ჩაჯდომა და იქიდან გადმოსვლაა. მაგალითად, ლიმუზინში ჩაჯდომის დროს დაჭრეს ამერიკის კიდევ ერთი პრეზიდენტი **რონალდ რეიგანი.**

ყოფილ სსრ კავშირში **ვლადიმერ ლენინის** პირადი მცველის ფუნქცია მძღოლს ჰქონდა შეთავსებული. ამიტომაც იყო, რომ, როცა 1919 წელს მსოფლიო რევოლუციის ლიდერის მანქანა ყაჩაღებმა გააჩერეს და ლენინს საფულე წაართვეს, მათ იგი უბრალოდ, ვერც იცნეს...

1942 წელს კი სახალხო კომისარ **ანასტას მიქოიანს** მოსკოვში საჯარო დასჯის ადგილთან გაკულაკებული, მაშასადამე, გაუბედურებულ-გაცამტვერებული გლეხის შვილმა ესროლა, მაგრამ ის გადარჩა.

კოსმონავტებთან შეხვედრის დროს, 1969 წელს, სსრკ კომპარტიის გენმდივან **ლეონიდ ბრეჟნევს** ოფიცერმა ვიქტორ ილინმა ორი პისტოლეტიდან ესროლა, მაგრამ ბედად ის სხვა მანქანაში იჯდა.

**მოამზადა**
**ნინო ალექსანდრიამ**

# ცირკი სხვა პლანეტიდან – UFO თბილისში ჩამოდის

**11 ნოემბერს, მხოლოდ ერთი დღით, სპორტის სასახლეში, მსოფლიოში აღიარებული საცირკო შოუ UFO გაიმართება.**

UFO – ეს არის ფანტასტიკური საცირკო შოუ, რომლის სიუჟეტი ვითარდება კოსმოსური თეფშის ბორტზე. ხომალდის უნებლიე სტუმრები არიან ადამიანები დედამიწიდან, რომლებიც უცხოპლანეტელებმა გაიტაცეს შორეულ გალაქტიკაში.

ხომალდზე მოხვედრილი ტყვეები ეცნობიან უცხოპლანეტელებს და არამიწიერ ცივილიზაციას, მათ წინ სიღრმეში იშლება ამ სამყაროს საიდუმლოებანი.

ფანტასტიკური საცირკო შოუსგან მაყურებელს ელის თავგადასავლები, მფრინავი კოსმიური ხომალდები და გამოუცნობი მფრინავი ობიექტები იფრენენ ცირკის გუმბათზე, მათ ელით შეხვედრები ამოსაცნობ ციურ არსებებთან. წარმოდგენა გაჯერებულია საცირკო ნომრებით, რომელიც ავლენს ადამიანის „არადამიანურ შესაძლებლობებს“. ამ სანახაობას ქმნიან აკრობატები, გიმნასტები, ჟონგლიორები, ჯამბაზები და სხვა არტისტები.



UFO-ს ახალი საცირკო შოუ ეფუძნება საავტორო მუსიკას, თანამედროვე განათებასა და ლაზერულ ინსტალაციას, ახალი ეპოქის ხმოვან და ვიდეოტექნოლოგიებს. სანახაობით მოჯადოებული მაყურებელი სიღრმისეულად მოგზაურობს სივრცეში და ეხება არამიწიერ სილამაზეს, მოგზაურობს პლანეტებზე, ათვალიერებს გალაქტიკის პეიზაჟებს, იქმნის კოსმოსში გაფრენის ილუზიას და სხვა მრავალს.

# გილოცავთ!

## ვახტანგ გაჩეჩილაძე – 70



საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ მიესალმება და გულთბილად ულოცავს დაბადების საიუბილეო 70 წელს საქართველოს სახელოვან მამულიშვილს, თავისი ქვეყნისა და ერის გულანთებულ პატრიოტს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ექიმ-ოფთალმოლოგს, სახელმწიფო მრჩეველს, ფონდის მიერ განხორციელებული ეროვნული პროექტების აქტიურ მხარდამჭერს და მის ბრწყინვალე შემფასებელს, ბატონ ვახტანგ გაჩეჩილაძეს.

ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ოჯახისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ღრმა პატივისცემით ბონდო კობაძე
ფონდის პრეზიდენტი, დავით აღმაშენებლის, ექვთიმე თაყაიშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი.
მშვიდობის „ოქროს ვარსკვლავის“ და „მშვიდობის დროშის“ კავალერი.

# აშშ-ის პრეზიდენტი პირველ შვებულებაში გადის



**4 აგვისტოდან აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი თავის პირველ, საპრეზიდენტო არდადეგებს მოიწყობს. როგორც ჩანს მომავალ 17 დღეს ქვეყნის პირველი პირი ნიუ-ჯერსიში მდებარე, საკუთარ გოლფ კლუბში გაატარებს.**

მასმედიის ცნობით გასულ უქმეებზე პრეზიდენტი სწორედ ამ კლუბში იმყოფებოდა.

# როცა კომპლექსები არ გაწუხებს...

**ყველასთვის საყვარელი, ცნობილი მომღერლის, მსოფლიო ვარსკვლავის მერაია ქერის მომატებულ კილოგრამებს ფოტოშოპიც ველარ შველის. მისი გულშემატკივრები აცხადებენ, რომ მისმა წონამ კატასტროფულ ნიშნულს მიაღწია. (120 კილოგრამი).**



თუმცა მომღერალს ეს ყოველივე დიდად არ ანაღვლებს, რადგან სცენაზე უწინდებურად საოცრად თამამი, ნახევრად ჩაცმული გამოდის.

მერაიას პრობლემები საქმროსთან, ავსტრალიელ მილიარდელთან, ჯეიმსონ პაკერთან დაშორების შემდეგ დაეწყო. დეპრესიას ვარსკვლავი ძირითადად ტკბილეულით უმკლავდება და შედეგიც აშკარად სახეზეა.

მისი ზედმეტი კილოგრამებით,ახლობლები იმდენად შეშფოთებულები არიან, რომ სპეციალური კლინიკების ძებნა დაიწყეს, რომლებიც მსგავს პრობლემებს აგვარებენ.

შესაძლებელია მალე მომღერალი სცენის ნაცვლად, კლინიკაში აღმოჩნდეს.

ერიჰა!

# რა ღირს „ვარსკვლავთცვენა“?

**კრასნოდარის მხარის მოსამართლის ხახალევას ქალიშვილის ქორწილში რუსული ესტრადის რამდენიმე პოპულარული მომღერლის გამოსვლის შემდეგ, რომლებიც ოფიციალურად საზეიმო ღონისძიებებზე გამოსვლებში ათიათასობით ჰონორარებს იღებენ, მასმედიაში დიდი სკანდალი აგორდა.**

**გამოწვეულ აჟიოტაჟზე პასუხად ბევრმა მათგანმა საკომუნიკაციო საშუალებებში — პრესაში, რადიოტელევიზიებში, სოციალურ ქსელებში სასწრაფოდ განაცხადა, რომ თემიდას სოჭელ მსახურთან მხოლოდ „მეგობრული ურთიერთობა აქვს“ და ქორწილში გამოსვლებში ერთი ცენტიც არ აუღიათ.**



**დღესდღეობით რუსეთში მცხოვრებმა სოსო პავლიაშვილმა კი, რომელიც იქაურ სცენაზე უაღრესად მდარე რეპერტუარით გამოირჩევა, სულაც განაცხადა, რომ ხახალევას ქალიშვილის ქორწილის დროს სოჭში... საქმეზე იყო ჩასული და იქ „შემთხვევით მოხვდა“.**

**ამასთან დაკავშირებით, პრესაში გამოჩნდა ქართველი მომღერლის ვალერი მელაძის განცხადება იმის თაობაზე, რომ ისინი ქორწილში უსასყიდლოდ მღეროდნენ. ამ მხრივ ერთობ საგულისხმოა სოციალური ქსელებით გავრცელებული ცნობილი ტელეწამყვანის ქსენია სობჩაკის რეპლიკა: „ხელგაშლილად ქეიფის მოდურ ტრენდს მოსამართლე ხახალევაც აჰყვა, რომელთანაც „მხოლოდ მეგობრობის გრძნობით შეპყრობილები“... 100 ათას ევროდ ღირებული ნიკოლაი ბასკოვი, 80 ათასად — ვალერი მელაძე და კიდევ 45 ათასად შეფასებული ვერა ბრეჟნევა, ასევე სადღაც 20-ათასიანი სოსო პავლიაშვილი ჩავიდნენ. ეს ხომ ნებისმიერ სააგენტოში ღია ინფორმაციაა! მაშ, ყველას სულელებად რატომ გვთვლიან?“ — გაკვირვებული კითხულობს სობჩაკი.**

**თუმცა კი მოსამართლის ქალიშვილს თუნდაც რამდენიმე ასეული ათასი ევროს ღირებულების ქორწილი, როგორც ჩანს, არაფერში მოსატანი არ არის პოდმოსკოვიეს ყოფილი ფინანსთა მინისტრის ალექსი კუზნეცოვის გერის ზოია ბულოკის დაოჯახების დღესასწაული, რომელიც... 5 მილიონი დოლარი დაჯდა(?!). აშკარად სენსაციურ ამბავს გარკვეულ „კრიმინალურ ელფერს“ ის გარემოება სძენს, რომ ამ ღირსშესანიშნავი დღიდან ზუსტად ერთ თვეში ზოიას მამინაცვალმა საზღვარგარეთ გაქცევით თავს უშველა. მის მიმართ კი სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. იქაურ ქორწილშიც რუსული ესტრადის ცნობილი ვარსკვლავები „სრულიად უსასყიდლოდ“ მღეროდნენ.**

ოთარ ტურაბელიძე

# მსოფლიოს ყველაზე ასაკოვანი ოჯახის დღეგრძელობის საიდუმლო

**ირლანდიაში ცხოვრობს ოჯახი, რომელთა ჯანმრთლობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა ყველას გაოცებას იწვევს. დონელების მრავალრიცხოვან ოჯახში 13 და-ძმა ცხოვრობს, რომელთა ჯამური ასაკი 1000 აჭარბებს. ყველაზე ახალგაზრდა მათ შორის 70 წლის ლეოა, ხოლო უხუცესი 90 წლის შონი.**



ეს ოჯახი 2017 წელს გინესის რეკორდების წიგნში შეიყვანეს.

მათი მშობლები ირლანდიაში საცხოვრებლად1921 წელს გადმოვიდნენ და 16 შვილი ჰყავდათ.

დონელები აცხადებენ, რომ თავს ახალგაზრდულად გრძნობენ. როგორც აღმოჩნდა, ისინი მთელი ცხოვრება მხოლოდ საკუთარი ხელით მოყვანილ და მოპოვებულ, ნატურალურ საკვებს მიირთმევენ. განსაკუთრებულ ადგილს მათ მენიუში საკუთარ მიწაზე მოყვანილი ვაშლი იკავებს, რომელიც ყოველდღიური რაციონის უცვლელი პროდუქტია. აღსანიშნავია, რომ დონელების ვაშლი ყველაზე გემრიელად ითვლება მთელს დიდ ბრიტანეთში.

მეორე პროდუქტი, რომლებსაც ირლანდიური ოჯახი ყოველდღე გეახლებათ, არის შვრია. დილას და საღამოს და-ძმები უცვლელად მიირთმევენ შვრიის ფაფას.

მათ არასდროს უჭამიათ ნახევარფაბრიკატები და ხელოვნური საკვები. გარდა ამისა, დაუღალავი შრომა და ფიზიკური აქტივობა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, აცხადებენ საუკუნეს მიღწეული ადამიანები.

# „ჰარი პოტერის“ ფანების საყვარელი კინო-გმირი გარდაიცვალა

**ბრიტანეთში 92 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი მსახიობი რობერტ ხარდი, რომელმაც თინეიჯერების და არა მარტო მათი საყვარელ კინოეპოპეა „ჰარი პოტერში“ მაგიის მინისტრის, კორნელიუს ფაჯის როლი ითამაშა.**



მას კიდევ არა ერთი ცნობილი სახე აქვს შექმნილი ბრიტანულ კინოში, მათ შორისაა უინსტონ ჩერჩილის პერსონის განუმეორებელი განსახიერება. უკანასკნელად რობერტ ხარდი ეკრანზე 2008 წელს გამოჩნდა ფილმში „პატარა დოროთი“.

მოამზადა
რუსუდან ქობულიამ


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!


**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.3928; ევრო - 2.8333;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1683;
100 რუბლი - 3.9554; თურქული ლირა - 0.6754;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4089;
1000 სომხური დრამი - 4.9982.

**ამინდი 5 აგვისტოსთვის**

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +19 | დღე | +38 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +14, | დღე | +37 |

დასავლეთი საქართველო:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +20, | დღე | +35 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +17, | დღე | +39 |
| თბილისი: | ღამე | +22, | დღე | +37 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge